„.... და მაშინ გაიხსნება ყოველი ქართველი“

№38 მაისი, 2002 წელი ფასი 40 თეთრი



1992 წლის 26 მაისის

# მიმართვა ქართველი ერისადმი 26 მაისის გამო

მამულიშვილნო! ძმანო და დანო!

1918 წლის 26 მაისს ქართველმა ერმა რუსეთის იმპერიის ნანგრევებზეააფრიალა დროშა ეროვნული დამოუკიდებლობისა. ას ჩვიდმეტი წლის მონობის შემდეგ კვლავ აღორძინდა ეროვნული სახელმწიფოებრიობა, ჩატარდა არჩევნები, შეიქმნა პარლამენტი, მაგრამ საბოლოოდ ვერ გაიმარჯვა ეროვნულმა და ქრისტიანულმა იდეამ, ქართველობამ ვერ დააღწია თავი მარქსიზმის დამღუპველ იდეოლოგიას, ვერ უერთგულა ქრისტეს გზას, დიდი ილიას გზას, რამაც ღვთის რისხვა მოგვივლინა და 26 მაისი 25 თებერვლით შეიცვალა.

კომუნისტური ტოტალიტარიზმი 70 წლის მანძილზე ცდილობდა 26 მაისის იდეების მოსპობას, თავისუფლების სულისკვეთების ჩაკვლას, ერის მოაზროვნე ნაწილის განადგურებას, მან ქრისტეს ჯვრის ნაცვლად მასონურ-კომუნისტური წითელი ვარსკვლავი დაუსახა იდეალად ქართველ ერს, ქრისტეს გზა, კაცთმოყვარეობის გზა შეიცვალა ანტიქრისტეს, ბარაბას დამღუპველი გზით. მაგრამ იმპერიის მსახურმა რენეგატებმა საბოლოოდ ვერ ჩაკლეს ეროვნული აზრი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, იგი კვლავ ფენიქსისებრ აღორძინდა, როდესაც დადგა იმპერიის მწუხრი, კვლავ აფრიალდა 26 მაისის დროშები, კვლავ აღზევდა თავისუფლების სული, ხოლო 1990 წლის 28 ოქტომბერს კვლავ აღსდგა დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოსი, კვლავ აჟღერდა ჰიმნი „დიდება“.

მაგრამ ვერაგი იმპერია არ აპირებს ბრძოლის ველის დათმობას. ერთი იმპერია დაემხო, მეორე კი კვლავ განაგრძობს დათრგუნვას ერთა უფლებებისა, რაშიც მას ხელს უწყობს მსოფლიო რეაქცია. კვლავ აბორგდა კაენის სული, გაერთიანდნენ მხეცური ინსტიქტებით შეპყრობილი ბნელი ძალები, კვლავ მოუხმეს მოსკოვს გადახვეწილ რენეგატებს, საქართველოს მტრებს, რათა სისხლში ჩაახშონ ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაპოვარნი, მოსპონ ქართული სული, საქართველო კვლავ დაუმონონ განახლებულ იმპერიას, კვლავ აქციონ ანტიქრისტე ბარაბას გზის მიმდევართა სათარეშოდ და საჯიჯგნად.

26 მაისი კვლავ დათრთვილა 6 იანვარმა, საქართველო კვლავ ძაძებში გაეხვია და დაადგა გოლგოთას გზას. ქართველმა ერმა მოიპოვა თავისუფლება, მაგრამ ვერ შეინარჩუნა იგი.

ქართველმა ერმა თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნებით აირჩია ეროვნული ხელისუფლება, მაგრამ ვერ დაიცვა იგი. იმძლავრეს და იმრავლეს მოღალატეებმა, ერთგულებს ღალატმა სძლია. წითელი ინტელიგენცია, კომუნისტური პარტოკრატია და მაფია გაერთიანდნენ. იმპერია კვლავ სამარეს უთხრის საქართველოს საკუთარი შვილების ხელით.

გრძელდება ქართველთა გენოციდი, იძარცვება საქართველო, იდევნება ეროვნული მოძრაობა.

დღეს საქართველო დილემის წინაშე დგას. ჭეშმარიტი საქართველო უნდა აღსდგეს დამპყრობელთა და გადაგვარებულ მოძალადეთა წინააღმდეგ, ქართველნი და არაქართველნი უნდა დაირაზმონ სიმართლისათვის ბრძოლაში. კვლავ ბრძოლით უნდა მოვიპოვოთ თავისუფლება და აღვადგინოთ სამართლიანობა, წინააღმდეგ შემთხვევაში ეროვნული და სოციალური კატასტროფა გარდაუვალია.

25 თებერვალს და 6 იანვარს ერთი და იგივე ავტორი ჰყავს: კრემლის იმპერია, წითელი ჯვარი და მათი მეგზურნი, ჩვენი ერის მოღალატენი! საქართველოს ჭეშმარიტმა შვილებმა უნდა სძლიონ მათ და კვლავ აღაზევონ 26 მაისის დროშა!

ძირს ერის მოღალატეთა და ძმათა მკვლელთა ხუნტა!

დიდება ქართველ ერს, დიდება 26 მაისს!

სიკვდილი ან გამარჯვება!

გვფარავდეს ღმერთი!

*საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი*

*ზვიად გამსახურდია*



## „ჯერ ღმერთი მიყვარს, მერე ზვიადი და მერე შენო“

*ძე ქარიშხლისა - მერაბ კოსტავა, საქართველოს უტეხი სული*

2

## ინფორმაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2002 წლის 27 აპრილს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. საქართველოს წიაღისეული რესურსები: წარმოების თანამედროვე მდგომარეობა და პერსპექტივა *(საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ექსპერტი პროფ. რ. გიგაური)*;
2. საქართველოს პოლიტიკური ვითარების შესახებ;
3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ქგიდით მსოფლიოს სპორტული კინოსა და ტელევიზიის დღის დაარსების შესახებ *(დეპუტატი ა. ჟღენტი)*;
4. სხვადასხვა.

## ინფორმაცია

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომის შესახებ

2002 წლის 11 მაისს ქალაქ თბილისში ჩატარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგი სხდომა.

დღის წესრიგში შეტანილი იყო შემდეგი საკითხები:

1. განცხადება საქართველოს რესპუბლიკაში მორიგი უკანონო ანტიკონსტიტუციური არჩევნების შესახებ *(დეპუტატი ბ. აფრასიძე)*;
2. დადგენილება საქართველოს რესპუბლიკაში ანტიკონსტიტუციური არჩევნების შესახებ;
3. საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ვითარების შესახებ *(საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ფხალაძე)*;
4. სხვადასხვა.

## პოლიცია კვლავ ფიზიკური ძალით გაუსწორდა მომიტინგეებს

როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეებმა გადაკეტეს რუსთაველის გამზირი, მაშინვე გამოძახებულ იქნა სპეცრაზმი, ავადსახსენებელი თემურ ხლებრიშვილის ტერორისტული ჯგუფი და ე.წ. სამართალდამცავები, მთაწმინდის რაიონის პოლიცია. ისინი კვლავ ფიზიკური ძალით გაუსწორდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს, აბრძანდით ტროტუარზეო - მოუწოდებდნენ, თუმცა, ისე შეიჭრნენ ადამიანთა ცემის სტიქიაში, ვეღარ დაამუხრუჭეს და ტელეგრაფის კიბეებზეც ამოიჭრნენ.

6

## მარადის საკუთარ თავზე მაღლა

2

## უკანონო არჩევნები არ უნდა ჩატარდეს!

7

## ქართველთა სამწიგნობრო ენა და დიალექტები

„.... უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ჟამსაც კი წირვა-ლოცვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული სალიტერატურო ენით აღესრულებოდა“

„.... სვანურის, მეგრულისა და ლაზურისთვის ახალი დამწერლობების შექმნა გააუცხოებს ამ ქართველთ და ფაქტიურად დაუკარგავს ქართული მწიგნობრობისა და ქართული იკონგრაფიის სახით არსებულ საკუთარ დიდ კულტურულ წარსულს, თუნდაც იმ თექვსმეტსაუკუნოვან წარსულს, რომელიც იოვანე ლაზისა და პეტრე იბერის მოღვაწეობით იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს.“

5

მერაბ კოსტავა: „ქართველობა უნდა იქცეს დიდ, მისაბაძ ერად, მსოფლიო კულტურის შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მოთავედ, მაღალი იდეების, ფორმების და სისტემების შემქმნელად, და მიმტანად მსოფლიო ხალხების წმინდა საკურთხეველზე. ამის გარანტიას იძლევა იმ ენერგიის მასშტაბები, იმ შინაგანი ცეცხლის ძალა, თავისი ფარული ისტორიული მისიის განხორციელებას რომ ახმარდა იგი. ეს ძალა უდავოდ იმ გლობალური მისიის შესატყვისია, თუკი შეიძლება ასე განისაზღვროს დამანგრეველი ძალების შემაკავებელი ენერგია. ამგვარი ენერგია კი ჭეშმარიტი საფუძველია შემოქმედებითი და ცნობიერი ცხოვრების დამკვიდრებისა. სწორედ ქართველი ხალხის ყველაზე ცნობასრული ინდივიდუალობების გონებაში უნდა დამკვიდრდეს იდეა ქართველობის დიდ და მისაბაძ ეროვნებად ქცევისა. მათზეა დამოკიდებული ჩვენი ხალხის მიერ მისი მისიის მართებულად გაგება და ცხოვრებაში რეალიზება. დიდ ერად ქცევა როდი ნიშნავს ეთიკური ნორმების დარღვევას, როდი ნიშნავს გული გვეთქმოდეს სხვისი მიწისა და ქონებისთვის. ჩვენი ეროვნული ენერგია, თუნდაც ქვეცნობიერად, სხვათა კეთილდღეობისთვის მოგვიხმარია და ამიტომ დაუშვებელია ქართველმა ხალხმა თავისი ბედნიერება სხვის უბედურებაზე ააგოს. ამგვარი ბედნიერება ქართველისთვის ბედნიერება არ იქნება. მაგრამ თავისი სანუკვარი მიზნის განხორციელებას იგი ეცდება და ყველას გზას დაულოცავს, ვინც თავისი ბედნიერებისა და ძლიერების სასახლეს სხვების დაუზიანებლად ააგებს.“

საქართველოს ისტორიაში უდიდეს თარიღად არის შესული 26 მაისი. 1918 წლის 26 მაისს საქართველო გახდა თავისუფალი და დამოუკიდებელი. ამ დღეს დაიბადა საქართველოს ეროვნული გმირი მერაბ კოსტავა. 1991 წლის 26 მაისს საქართველოში პირველად ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა დიდოსტატ კონსტანტინეს ვაჟმა ბატონმა ზვიად გამსახურდიამ. ზვიადი გახდა პირველი კანონიერი პრეზიდენტი საქართველოსი, მას მიანდო წინამძღოლობა ქართველმა ერმა.

ეროვნული მოძრაობის რაინდი და საქართველოს ეროვნულ გმირ მერაბ კოსტავაზე ყველაზე დიდი მოგონებები აკავშირებს მერაბის დედას, ქალბატონ ოლღა დემურია-კოსტავას, ბატონმა ზვიადმა „ქართლის დედა“ რომ უწოდა.

ქალბატონ ოლიკოს შინ ვეწვიე და ინტერვიუ ვთხოვე, „მე ეროვნულ გაზეთს უარს ვერ ვეტყვიო“- განმიცხადა და ჩვენი საუბარიც დაიწყო:

# „ჯერ ღმერთი მიყვარს, მერე ზვიადი და მერე შენო“

*ძე ქარიშხლისა - მერაბ კოსტავა, საქართველოს უტეხი სული*



***– ქალბატონო ოლიკო, 26 მაისს მერაბი დაიბადა, როგორ გაიხსენებდით იმ დღეს?***

-როდესაც მერაბი დაიბადა, ჩვენთან, სახლში დიდი სიხარული და ალტკინება იყო, რადგან მისი დაბადება საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაემთხვა, მამაჩემი და მაზლი ბედნიერები იყვნენ. ჩემი მაზლი მთელი ცხოვრება კომუნისტების მოწინააღმდეგე იყო და როცა მისი ძმისშვილი საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს დაიბადა, გრიგოლ კოსტავას უთქვამს – ამაღამვე უნდა ვნახო ბავშვიო. წამოსულა სამშობიაროში, მაგრამ კარი დაკეტილი დახვედრია, რადგან უკვე გვიანი იყო. ამდგარა და ღობეზე გადმომხტარა, ჩაძინებულმა დარაჯმა მაშინ გაიღვიძა, როცა ის უკვე კიბეზე ამორბოდა. დარაჯს განგაში აუტეხია. მედპერსონალი დასწევია და უთქვამთ: ცნობილი პიროვნება და მსახიობი ბრძანდებით, რა იქნება, რომ ხვალ ნახოთ თქვენი ძმისშვილიო. გრიშას დაუჯერებია და მეორე დღეს გვინახულა.

***– ქალბატონო ოლიკო, თვითონ მერაბი თუ ამბობდა რამეს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს რომ დაიბადა?***

– ძალიან ბედნიერი იყო, ამ დღეს სახლში ყველა გახარებული და ბედნიერი ვიყავით.

***– სკოლაში როგორ სწავლობდა მერაბი?***

– ძალიან ნიჭიერი ბავშვი იყო, ფრიადოსანი, მეც ყოველდღე ისე არ გავუშვებდი სკოლაში, რომ ჩემთვის არ ჩაებარებინა გაკვეთილები. როცა მამაჩემი მივიდა სკოლაში, მერაბის მასწავლებლები ერთხმად აქებდნენ მას, იძღენად განათლებული იყო. მუსიკის განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა, მაგრამ მე არ მინდოდა მუსიკას გაჰყოლოდა, მხოლოდ შვიდწლედი მინდოდა დაემთავრებინა. მე ვიყავი ხიდების და გვირაბების ცნობილი ინჟინერი და ბავშვიც ჩემს გზას მინდოდა გაჰყოლოდა. როდესაც ეს მის მუსიკის მასწავლებელს განვუცხადე, გადაირია და მითხრა - Он станет вторым Рихтером. ისეთი მონაცემები აქვს, ბგერების შეგრძნების ისეთი ნიჭი, რომ ის იქნება დიდი მუსიკოსიო. მერე მეც შემეცვალა აზრი და შევიყვანე მუსიკის ნიჭიერ ბავშვათა ათწლედში. გამოცდებიც ისე ჩააბარა, მასწავლებლები ერთმანეთს ეცილებოდნენ, ვისთან ივლიდა მერაბი. კონსერვატორიაშიც, როცა მერაბი უკრავდა, ყველა ბოლომდე უსმენდა.



***– ქალბატონო ოლიკო, რას გვეტყოდით მერაბისა და ზვიადის მეგობრობაზე?***

- მე ასეთი დიდი და თბილი მეგობრობა არსად მინახავს. ისინი სკოლაშივე დაუახლოვდნენ ერთმანეთს და განუყრელი მეგობრები იყვნენ. დღედაღამ ეროვნულ მოძრაობაზე ფიქრობდნენ და ილვწოდნენ. მათი სულიერი იდეალების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის კონსტანტინე გამსახურდიას. მან საქართველოს თავისუფლების იდეით გაზარდა თავისი ვაჟი. როდესაც ზვიადმა თავისი შეხედულებები გაუზიარა მერაბს, ძალიან მოეწონა ზვიადის აზრები და დაუახლოვდა. მერაბი ეთაყვანებოდა კონსტანტინე გამსახურდიას და მის ნაშრომებს. ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეები იყვნენ, როდესაც პირველად დააპატიმრეს, მათი სასამართლო პროცესი შვიდი თვე გრძელდებოდა.

ზვიადს და მერაბს ნაყიდი ჰქონდათ საბეჭდი მანქანა, პროკლამაციებს ბეჭდავდნენ. მათთან ერთად სხვებიც დაიჭირეს. მათი პირველი პროკლამაცია ჩვენს მუზეუმში ინახება. როცა ისინი დაიჭირეს, მე და ზვიადის დედა მირანდა, ძალიან შეშინებულები ვიყავით. თბილისის სუკს საპატიმროში მათი ცემა სურდა, მაგრამ როცა ხრუშჩოვმა წაიკითხა პროკლამაცია და ნახა, რომ ის სტალინს ეხებოდა, ბრძანება გაუცია დაპატიმრებულებს ფიზიკურად არავინ შეხებოდა, რადგან თავად არ ჰყვარებია სტალინი. სხვათა შორის, საქართველოს მაშინდელი ცეკას პირველი მდივანი, მჟავანაძის ცოლი და ხრუშჩოვის ცოლი ბიძაშვილები იყვნენ.

ზვიადი ძალიან ჭკვიანი იყო, თავის საქმიანობაში ჩაუბია უშიშროების დიდი ჩინოვნიკის შვილი, საბეჭდი მანქანაც მის სახლში შეუნახავს, ამაზე ეჭვს ვერავინ აიღებდა. ის ბიჭი დღეს ტუბ-დისპანსერის ცნობილი ექიმია – მერაბ სხირტლაძე. როდესაც ზვიადისთვის დაკითხვაზე უკითხავთ, საბეჭდი მანქანა სად არისო, უპასუხია, ავიღე და ორთაჭალჰესთან მტკვარში გადავაგდეო. სუკმა მტკვარი დააშრო და ძებნა დაუწყო, მაგრამ ვერაფერი აღმოაჩინა. შვიდი [illegible]ლი ეძებდა გამწარებული. ბოლოს მანქანა მაინც აღმოაჩინეს.

მერე მერაბს ვკითხე, როგორ იქცეოდნენ იქ-მეთქი. მითხრა – ძალიან შეშინებული ვიყავი და ერთ ამხანაგს გავანდე, მან კი სუკში დამასმინაო. როცა მამამისს გაუგია, შვილი მაგრად უცემია. ერთხელ მე და მირანდა საჭმლის გადასაცემად საპატიმროში მივედით, იქ შეშინებული, აღელვებული ქალები ტიროდნენ. ჩვენ ვკითხეთ, რაში იყო საქმე: ერთმა ქალმა გვითხრა: ჩემი შვილი, მამამ სასტიკად სცემაო. მირანდამ ჰკითხა, რა

4

*„საქართველოს ისედაც გაწამებული ყოფა უზურპატორთა მიერ თავსმოხვეული ნაძალადევი ცრუ არჩევნების სერიალით კიდევ უფრო დამძიმდება“.*

*ზვიად გამსახურდია*

ვის სურს საქართველოს ჩიხური მდგომარეობიდან გამოყვანა? ვინც აღიარებს ლეგიტიმურ საყოველთაო არჩევნებს. ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების მიერ დანიშნულ არჩევნებს.

1991-1993 წლების სამხედრო-სახელმწიფო გადატრიალების შედეგად მოსულმა შევარდნაძის ხუნტამ – უკანონო რეჟიმმა დაიწყო ანტისახელმწიფოებრივი, ანტიეროვნული და ანტიკონსტიტუციური პოლიტიკის გატარება, რომელმაც ქვეყანა დაღუპვამდე მიიყვანა – ეს დასტურდება ბოლო ათი წლის განმავლობაში ყოველდღიურად!



შევარდნაძის ანტისამართლებრივი, ქვეყნის დამანგრეველ მმართველობას ახანგრძლივებს უკანონო ხელისუფლების მიერ შექმნილი საარჩევნო კომისია, რომელიც არის უკანონობის მთავარი ხელშემწყობი; უკანონობის, კორუფციის, ანტისახელმწიფოებრივი ქმედების საყრდენია ჯ. ლომინაძის ანტიდემოკრატიული ე.წ. საარჩევნო კომისია. ის არამარტო უკანონოა, არამედ „არჩევნებს“ ატარებს ევროსაბჭოს მიერ „დრაკონულ კანონად“ შერაცხული არალეგიტიმური პარლამენტის მიერ მიღებული საარჩევნო კანონებით.

# მარადის საკუთარ თავზე მაღლა



1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნებით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმით, 1991 წლის 26 მაისს საპრეზიდენტო არჩევნებით და 1991 წლის ორი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებით კომუნისტურ იმპერიაში – საბჭოთა კავშირში – პირველად ზვიად გამსახურდიამ აღმართა თავისუფლებისა და დემოკრატიის დროშა, რითაც მსოფლიოს საერთაშორისო და სახელმწიფო სამართლის სრულყოფილი გაკვეთილები ჩაუტარა.

1991 წლის 22 დეკემბერს დაწყებული პუტჩით, როცა კანონიერ ხელისუფლებას ტყვიებს ესროდნენ, მსოფლიო დემოკრატიულ ძალებს ტესტირება ჩაუტარდათ, რაც დღემდე გრძელდება. დასავლეთის აზრი, გამოხატული აშშ-ს პრეზიდენტის პირით: „ზვიად გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდის“, გამოდგა ნიშანი თავისუფლებისა და დემოკრატიის მტრებისა, იმპერიის მეხუთე კოლონისათვის, რასაც მოჰყვა კანონიერი დემოკრატიული გზით მოსული ხელისუფლების უცხო ძალის ხიშტებით დამხობა. ეს კი, ევროპული არეალი, დემოკრატიულ ძალებს ბუმერანგივით დაუბრუნდათ და საერთაშორისო სამართლის ისტორიის სამარცხვინო ფურცლად დარჩა.

თავი დავიმშვიდოთ გამოთქმით: „სჯობს გვიან ვიდრე არასდროს“ და აი, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტი აღიარებს: საქართველოში ჩატარებული ნებისმიერი საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები არის გაყალბებული, არადემოკრატიული და არალეგიტიმური. საბოლოოდ დასავლეთმა საქართველო გამოაცხადა, როგორც არშემდგარი სახელმწიფო.

საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ქალბატონ მანანა არჩვაძე-გამსახურდიას სამართლიანმა შეფასებამ: „დემოკრატიულმა ამერიკამ სსრკ-ს სივრცეში დემოკრატიული არჩევნებით მოსული ხელისუფლების ძალით დამხობა დაუშვა, მდუმარებით შეხვდა“, ნაყოფი გამოიღო და აშშ-ის სენატმა მიიღო დადგენილება საქართველოს უკანონო ხელისუფლების მიმართ, როგორც ანტიკონსტიტუციური და ანტიდემოკრატიული მთავრობისა, რასაც მოჰყვა ევროსაბჭოს იგივე უარყოფითი აზრის მქონე განცხადება.

„ქართველობამ არ უნდა დავუშვათ არავითარი არალეგიტიმური არჩევნების ჩატარება საქართველოში, რადგან ხუნტა ცდილობს საქართველოში დანაშაულებრივი რეჟიმის დაკანონებას ანტიკონსტიტუციური არჩევნების ჩატარების გზით,“ – ბრძანებს ზვიად გამსახურდია.

ქვეყნის ჩიხური მდგომარეობიდან გამოსაყვანად არსებობს მხოლოდ ერთადერთი გზა – ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლების მიერ დანიშნული არჩევნები, რომლის განხორციელების გეგმა ასახულია: 1. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მემორანდუმში (2000 წ. 9 IV). 2. საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალი მაგიდის მიმართვაში (2001 წ. 17. VII). 3. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის განცხადებებში (2001 წ. 17 IX). 4. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიმართვებში (2002 წ. 2 II).

აქედან გამომდინარე, ეროვნული მოძრაობა, მისი პოლიტიკური ბირთვი მრგვალი მაგიდა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ატარებს საერთაშორისო სამართლითა და საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით დაცულ მშვიდობიან აქციას, ე.წ. საარჩევნო კომისიის შენობის წინ რუსთაველის გამზირზე, მოთხოვნით: გადადგეს შევარდნაძის ხუნტის მიერ შექმნილი უკანონო საარჩევნო კომისია, შევარდნაძის უკანონო მთავრობა და არალეგიტიმურმა პარლამენტმა თვითლიკვიდაცია გამოაცხადოს.

აი, ერთადერთი გზა საქართველოსი, როგორც სახელმწიფოსი, რომელიც მხოლოდ დე-იურედ არსებობს 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის საფუძველზე.

4

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება

## საქართველოს რესპუბლიკაში ანტიკონსტიტუციური არჩევნების შესახებ

1991-93 წლების სამხედრო სახელმწიფო გადატრიალებისა და ტერორიზმის შედეგად ხელისუფლების უზურპატორმა კრიმინალურმა ხუნტამ დაარღვია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 1992 წლის 13 მარტის სესიის დადგენილება, ადამიანის უფლებათა დაცვის საყოველთაო დეკლარაციის 21-ე პუნქტი, საერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმები და საქართველოს მოქალაქეებს ათი წელია წაართვა თავისუფალი არჩევანის უფლება.

ვინაიდან, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეროგატივაა წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნების დანიშვნა და რადგან მას ეს დადგენილება არ მიუღია, ამიტომ არალეგიტიმური ,,სახელმწიფო საბჭოს'' ან ე.წ. პარლამენტის მიერ დანიშნული არჩევნები არაკონსტიტუციურია.

ვინაიდან უკანონო არჩევნებს საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველთა აბსოლუტურმა უმრავლესობამ ბოიკოტი გამოუცხადა და შესაბამისად ხუნტის მიერ ჩატარებული არჩევნები იურიდიული ძალის არმქონეა;

ვინაიდან, არსებობს უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ ხუნტის მიერ დანიშნული არჩევნების შედეგები მთლიანად ფალსიფიცირებული იყო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1992 წლიდან დღემდე დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ ჩატარებული ,,საპრეზიდენტო'', ,,საპარლამენტო'', ,,ადგილობრივი თვითმმართველობისა'' და 2002 წლის 2 ივნისს დანიშნული ,,საკრებულოების'' არჩევნები ცნობილ იქნეს ანტიკონსტიტუციურად, ხოლო შედეგები – ბათილად.

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*
*ვ. ფხალაძე*

*თბილისი, 2002 წლის 11 მაისი.*

# საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს განცხადება

## საქართველოს რესპუბლიკაში მოიხდე უკანონო, ანტიკონსტიტუციური არჩევნების შესახებ

1990 წლის 28 ოქტომბერს პოლიტიკური პარტიების კოლეგიალური - პარიტეტის პრინციპზე შექმნილი ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ საქართველოში ჩატარებულმა საყოველთაო, მრავალპარტიულმა, დემოკრატიულმა არჩევნებმა დაამკვიდრეს თავისუფლებისა და დემოკრატიის ღირებულებები. ჩვენს ქვეყანაში არასაბჭოური, არსებული კონსტიტუციის რეგლამენტაციის გარეშე დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით საფუძველი ჩაეყარა 1991 წლის 31 მარტს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების - საკრებულოების შექმნას, ამავე წლის 26 მაისს პირველ საპრეზიდენტო არჩევნებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას, საქართველოს სახელმწიფოს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად ჩამოყალიბებას.

1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნები ჩატარდა სამართალმემკვიდრეობის ბაზის საფუძველზე საქართველოს რესპუბლიკის ამომრჩეველთა ნების თავისუფლად გამოხატვის პირობებში, დემოკრატიული პრინციპების სრული დაცვით.

1991-93 წლებში სახედრო-სახელმწიფო გადატრიალებისა და ტერორიზმის გზით კანონიერი ხელისუფლების დამხობის შედეგად ე.შევარდნაძის ხუნტის მიერ სახელისუფლებო სტრუქტურების უზურპაციით ათი წელია საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს წართმეული აქვთ ხელისუფლების თავისუფალი არჩევის უფლება, რითაც დარღვეულია საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-2, მე-6, 37-ე, 85-ე, 86-ე, 91-ე, 93-ე მუხლები, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21-ე მუხლი და სერთაშორისო სამართლის ძირითადი ნორმები.

1992 წლის 13 მარტს ქ. გროზნოში საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო დადგენილება: ,,ყველა აქტი, რომელიც მიღებულია საქართველოს არაკანონიერი ხელისუფლების მიერ, მათ შორის პარლამენტის არჩევნების დანიშვნის აქტი, გამოცხადდეს იურიდიული ძალის არმქონედ''.

საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციიდან გამომდინარე ყველა დონის წარმომადგენლობითი ხელისუფლების ორგანოების არჩევნებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელიც იურიდიულად განაგრძობს ფუნქციონირებას ქ. თბილისში.

ხუნტის - ,,სამხედრო საბჭოსა'' და ,,სახელმწიფო საბჭოს'' სამართალმემკვიდრეობის საფუძველზე ჩატარებული არჩევნები (1992, 1995, 1998, 1999, 2000 წლების 'საპარლამენტო'', ,,საპრეზიდენტო'' და ,,საკრებულოების არჩევნები'') და 2002 წლის 2 ივნისს დანიშნული 'საკრებულოების არჩევნები'' ითვლება უკანონოდ, ვინაიდან: 1) სამხედრო სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალების შედეგად ე.წ. სახელმწიფო საბჭოს მიერ უზურპირებული ხელისუფლების მიერ სამართალმემკვიდრეობის ბაზის გარეშე, კონსტიტუციური ვაკუუმის პირობებში დანიშნული და ჩატარებული არჩევნები წარმოადგენენ იურიდიული ძალის არმქონეს, არალეგიტიმურს; 2) საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის (104-ე მუხლის 27-ე პუნქტი, 113-ე მუხლის მე-5 პუნქტი) მიხედვით საპარლამენტო და საკრებულოების არჩევნებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, რომელსაც თავისი უფლება-მოვალეობა არ მოუხსნია და როგორც ლეგიტიმური ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, იურიდიულად განაგრძობს ფუნქციონირებას ქალაქ თბილისში; 3) 1992 წლის 11 ოქტომბრის ე.წ. საპარლამენტო არჩევნები ჩატარდა ანტიდემოკრატიული ნორმებით აფხაზეთში პროვოცირებული ომის დროს, მინიმალური საარჩევნო ქვორუმის გარეშე, ე.წ. საკომპენსაციო სიებით, ფალსიფიკაციითა და ე.წ. სპიკერის ,,საყოველთაო კენჭისყრით უპრეცედენტო არჩევა წარმოადგენს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ერთი პიროვნების ხელში კონცენტრაციას, ხუნტის მიერ ძალაუფლების უზურპირებას; 4) უცხო ქვეყნის სამხედრო დახმარებით ქვეყნის სათავეში მოსული დე-ფაქტო ხელისუფლება ძალის გამოყენებითა და უცხო ქვეყნისავე დახმარებით ინარჩუნებს ძალაუფლებას; 5) ყველა ზემოთ აღნიშნული ,,არჩევნები'' ჩატარდა ამომრჩეველთა საყოველთაო ბოიკოტის პირობებში – მათი უმრავლესობა ერთგული დარჩა 1990-91 წლების არჩევნებისა; 6) არსებობს უტყუარი მონაცემები, რომ ხუნტის მიერ ბოლო ათი წლის განმავლობაში ჩატარებული არჩევნები მთლიანად ფალსიფიცირებული იყო; 7) საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას დაუპირისპირდა უზურპატორი ხუნტა, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივ-ზნეობრივი უფლებები ამომრჩეველთა სახელით მოქმედებისა.

ე. შევარდნაძის ხუნტის მიერ დანაშაული ყველა დონის ,,არჩევნებს'' იურიდიული ძალა არ გააჩნია და მათში ,,მონაწილეობა თუნდაც უარყოფითი ხმების მიცემისა, იქნება უკანონო ხელისუფლების მხარდაჭერა''.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მთლიანად იზიარებს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეხედულებას და მისივე სიტყვების მიმართვას: ,,ქართველ ერს, საქართველოს არაქართულ მოსახლეობას, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი ქვეყნის მომავალი, მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება, არ მიიღონ მონაწილეობა არავითარ არჩევნებში, გამოუცხადონ მას აქტიური ბოიკოტი ...''.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 21 მუხლით ,,... ყოველ ადამიანს აქვს უფლება სხვების თანაბრად მიუწვდებოდეს ხელი თავისი ქვეყნის მართვაზე... ხალხის ნება უნდა იყოს მთავრობის ძალაუფლების საფუძველი, ეს ნება უნდა განხორციელდეს პერიოდულ და არაფალსიფიცირებულ არჩევნებზე, რომელიც უნდა ტარდებოდეს საყოველთაო და თანაბარი საარჩევნო უფლებით, ფარული კენჭისყრის ან თავისუფალი კენჭისყრის უზრუნველყოფილი სხვა მნიშვნელოვანი ფორმებით...'' ამის განხორციელების ერთადერთი საფუძველია: საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის უწყვეტობა, სამართალმემკვიდრეობის შესანარჩუნებლად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნულ, პარიტეტის პრინციპზე შექმნილ ცესკო-ს მიერ საყოველთაო, მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება, 1990-91 წლებში მოპოვებული თავისუფლებისა და დემოკრატიის ღირებულებების დაბრუნება, პარლამენტარიზმის იდეის აღორძინება, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, საქართველოს სახელმწიფოებრიობისა და მოსახლეობის გადარჩენა, საქართველოსა და მთელ კავკასიაში სტაბილური ვითარების დამკვიდრება.

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*
*ვ. ფხალაძე*

*თბილისი, 2002 წლის 11 მაისი*

**ინტერვიუ**

**ჩვენი გაზეთის დღევანდელი ნომრის სტუმარია წმინდა ილია მართლის საზოგადოების რესპუბლიკური გამგეობის წევრი, ბატონი სოსო ხუციშვილი**

# ვარ სულით ქართველი

***- ცოტა რამ თქვენს შესახებ?***

დავიბადე თბილისში 1954 წელს. ვარ სულით ქართველი, მართლმადიდებელი ქრისტიანი. მყავს მეუღლე და სამი შვილი. პროფესიით მშენებელი ინჟინერი გახლავართ. სკოლაში კარგად ვსწავლობდი. ვიყავი ოქტომბრელი, პიონერი, კომკავშირელი. გულუბრყვილოდ მჯეროდა ყველაფერი, რასაც მასწავლიდნენ. ყველა მართალი და პატიოსანი ადამიანი მეგონა. ის კი არა, ლენინზე ბავშვობაში ლექსიც კი დავწერე. მერე გავიგე მისი ,,სიდიადის'' ამბავი, შემრცხვა და სტალინზე გადავაკეთე. როცა წამოვიზარდე, გამეცინა, თურმე ირგვლივ თითქმის ყველაფერი ბუტაფორია ყოფილა. ასე გაიარა მრავალმა წელმა.

***- როგორ ეზიარეთ ზვიად გამსახურდიას პოლიტიკურ მრწამსს?***

- როგორც კი ეროვნული ძალები გამოჩნდნენ და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა დაიწყო, ბევრ რამეზე ამეხილა თვალი და მორჩილებაც დამთავრდა. ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გამოჩენამ სულ სხვა პიროვნებად მაქცია. ისინი თავიანთი ცხოვრებითა და მოქმედებით წვეთ-წვეთად, თანდათანობით ტვიფრავდნენ ჩემში ეროვნულობის შეგნებას, ერისა და სამშობლოსათვის თავდადების გრძნობას. სალათას ძილისგან გამოფხიზლებული დავდექი იქ, სადაც უნდა დავმდგარიყავი, დავდექი ათასობით ქართველის გვერდით. გავხდი წმიდა ილია მართლის საზოგადოების წევრი და 1988 წლიდან კეთილსინდისიერად ვემსახურები საქართველოს, ერთგული ვარ მისი და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამორჩეული ლიდერის ბატონ ზვიად გამსახურდიასთვის მიცემული ფიცისა. გამოუსწორებელი ქართველი გახლავართ, ამ იმედით ვცხოვრობ და მჯერა, საქართველოში მალე მოელება ბოლო შევარდნაძის სისხლიან რეჟიმს, აღსდგება კანონიერება.

***- თქვენი აზრი საქართველოში მომხდარზე, მიმდინარე პროცესებსა და მათს მიზეზებზე.***

- 1991-92 წლებში საქართველოში განხორციელდა კომუნისტურ-კრიმინალური პუტჩი - საერთაშორისო მასონური შეთქმულების ნაწილი. იგი მიზნად ისახავდა საქართველოს კანონიერი, ეროვნული ხელისუფლების მოსპობას, ქართველი ერის გენოციდს, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევას, დემოგრაფიული ექსპანსიის გაძლიერებას... ყველაფერი ადგილობრივმა კრიმინალურმა ბანდებმა სუკის გენერალ ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით განახორციელა. მისი იდეოლოგიური აპარატი, თავისი კომუნისტური შემართებითა და სისასტიკით ცდილობს დაანგრიოს ქართული ცნობიერება. ზნეობრივად, სულიერად, ეკონომიკურად მოახდინოს ერის დეგრადაცია, აქციოს ბრბოდ და ამით ადვილად მიაღწიოს მზაკვრულ მიზანს. მძვინვარებს კორუფცია, მაფიოზური კლანების თარეში, ნარკომანია, ადრეული ასაკის პროსტიტუცია, მოსახლეობის ძარცვა, დამცირება, სულში ჩაფურთხება, ჩაგვრა. ერთი რამ ცხადია, ზვიადისა და მერაბის გზა მიუღებელია ღმერთს დაცილებული და მატერიალიზმით გაქსუებული ღვთის მგმობი კლანებისათვის.



***- გამოსავალს რაში ხედავთ?***

- მსოფლიოს თვალში ქართველი ხალხი თავისუფლებისთვის მებრძოლი გმირი ერია, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე ყოვლთვის თავისუფლებისკენ რომ ილტვოდა. ჩვენი სამშობლო თავისუფალი უნდა იყოს, იქნება კიდეც. იგი არასდროს გადაუხვევს ქრისტეს გზას, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას გზას. დღეს ქართველებს გვყავს პიროვნება, რომელშიც შეუპოვარი, კლდისებრ-რკინისებრი სიმტკიცეა, მან გაუძლო დევნასა და შევიწროებას, ფიზიკურ ზეწოლას, ეკონომიკურ სიდუხჭირეს. იგი ისეთივე ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ყველა პატიოსანი, ჭეშმარიტი, ქვეყნისთვის თავდადებული ქართველი. ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია ღირსეული მეუღლე და თანამებრძოლი, ერთგული დედა, ეროვნული მოძრაობის სულისჩამდგმელი და ლიდერი. ხსნას მისი წინამძღოლობით კანონიერი ხელისუფლების აღდგენაში ვხედავ. ამიტომაც მოვუწოდებ ყველას პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდასთან დადგომას და ბრძოლას კანონიერების აღსადგენად.

**საქართველოში არავის არასდროს შერჩენია ბოროტება, ღალატი.** ქართველი ხალხი არ შეურიგდება, არაფერს აპატიებს საკუთარი ხალხის სისხლში მოცურავე ხუნტას. იგი ერთგული დარჩება იმ არჩევანისა, 1990 წლის 28 ოქტომბერსა და 1991 წლის 26 მაისს ჩატარებულ არჩევნებში რომ გააკეთა. იგი დღესაც იურიდიული ძალის მქონეა. უკანონო ხელისუფლებამ პასუხი უნდა აგოს კანონის მთელი სიმკაცრით ღვთისა და გაუბედურებული ხალხის წინაშე.

*ესაუბრა ლელა ხაჭაპურიძე*



2

ნახეს თქვენს სახლშიო. ქალმა ის კი არ თქვა, საბეჭდი მანქანა ნახესო, არამედ სტამბა აღმოაჩინესო. მე და მირანდას შეგვეშინდა. თუ სტამბა ნახეს, ბიჭებს ვეღარ გაუშვებენ და ჩვენც დაგვიჭერენო. წამოვედით იქიდან ატირებულები. მეორე დღეს გამოირკვა რაშიც იყო საქმე.

***– ქალბატონო ოლიკო, თქვენ თუ უწყობდით ხელს მერაბს საქმიანობაში და როგორი მეგობრობა ჰქონდა მას ზვიადთან?***

- როცა დაიწყეს არალეგალური გაზეთის გამოცემა, მერაბმა მითხრა – გაზეთის გამოცემის ფულს

დაძაბული სიტუაცია იყო აფხაზეთში. მერაბი ზუგდიდში ჩავიდა. დაძაბულობა იყო ღალიძგის ხიდთან. აღელვებულმა ხალხმა ვერტმფრენს, სადაც გუმბარიძე, ჭითავა და ცეკას სხვა წევრები ისხდნენ, ქვები დაუშინა. მერაბი შუაში ჩადგა და არ მისცა უფლება ხალხს, ისინი ქვებით ჩაექოლა. რამდენიმე დღეში, რეკავს ტელეფონი და მეუბნებიან, რომ მერაბს ცეკაში იბარებენ. როცა მივიდა უთხრეს: შენ გადაგვარჩინე და შეგვინარჩუნე სიცოცხლე, ახლა გვინდა სამაგიერო გადაგიხადოთო. მერაბმა უთხრა: პირადად მე თქვენი არაფერი მინდა, მოგიყვანთ გაჭირვებულ ხალხს და იმათ უშველეთო. ისეთი ამბავი იყო ჩემს სახლში, ეზოში გაჭირვებული ადამიანების დიდი რიგები იდგა. მთელი თვეების განმავლობაში გრძელდებოდა ეს. შემდეგ მერაბმა ცეკაში წერილობითი მოთხოვნა წარადგინა, რომელიც მეც მაქვს წაკითხული, იქ ეწერა – ერთის დანაშაულისათვის მრავალი იტანჯება და იღუპება. გათავისუფლებულ იქნას ღრმად მოხუცებული პატიმარი ქალები, ასევე ავადმყოფი და შემდეგ უდანაშაულო პატიმარი ქალები. მერაბს ცეკაში გუმბარიძემ უთხრა - შენ თვითონ შედი ქალთა კოლონიაში და მიხედე მაგ საკითხსო. კოლონიაში წავედით, მათ შორის მეც ვიყავი. დიდი შეხვედრა მოგვიწყეს პატიმარმა ქალებმა. მერაბს ლექსიც უძღვნეს, რომელიც ჩვენს მუზეუმშია დაცული. „-

# „ჯერ ღმერთი მიყვარს, მერე ზვიადი და მერე შენო"

*ძე ქარიშხლისა-მერაბ კოსტავა, საქართველოს უტეხი სული*

სულ ზვიადი ხარჯავს და ჩემი დახმარება სჭირდებაო. მე მთელი ჩემი ჯამაგირი, მასთან ერთად ობლიგაციები, მაშინ დიდი თანხა იყო, უთქმელად მივეცი. მერაბი ჩამეხუტა გულში და მითხრა – დედა, ჯერ ღმერთი მიყვარს, მერე ზვიადი და მერე შენო.

***– თქვენთან ხშირად მოდიოდა ზვიად გამსახურდია?***

– სულ აქ იყო. მანქანა სულ ჩემს სახლთან ეყენა. მერაბი და ზვიადი თვალყურს ადევნებდნენ კულტურული ძეგლების მოვლა-პატრონობას. სახელმწიფოსაგან გამოყოფილი იყო თანხები ამისთვის, ისინი აკონტროლებდნენ მართლა ხმარდებოდა თუ არა თანხები კულტურული ძეგლების მოვლას. ამაზე მათ არაერთი აქცია მოუწყვიათ, რადგან არცერთი კაპიკი არ იხარჯებოდა ამ საქმისთვის. კომუნისტები თავისთვის იჯიბავდნენ.

***– ქალბატონო ოლიკო, მერაბის ციმბირში გადასახლებასთან დაკავშირებით რას გვეტყოდით?***

- საშინელება იყო. თავიდან მხოლოდ ზვიადი დაიჭირეს, მერაბს კი განუცხადეს: მიბრძანდი სახლში, რადგან შენ მარტო ლექსები გაქვს გამოქვეყნებული არალეგალურ გაზეთში, ზვიადს კი მამამისის აკრძალული წერილებიო. მერაბს განუცხადებია –თუ ზვიადი წინ არ გამიძღვება, აქედან წამსვლელი არა ვარო. მერე შორეულ ციმბირში გადაასახლეს, სადაც თერთმეტი წელი დაჰყო. მისთვის იქ ხელწერილით პირობის ჩამორთმევა სურდათ, რომ აღარ გააგრძელებდა ანტისაბჭოთა საქმიანობას, რაზედაც მერაბმა კატეგორიული უარი განაცხადა, ამიტომაც უმატებდნენ პატიმრობის ვადას. მან შიმშილობას მიმართა, წელიწადი და თვენახევარი იშიმშილა. მერაბი ცივ და გაყინულ, სპეციალურ საკანში შეაგდეს, სადაც გაცივდა და ორმოცი გრადუსი სიცხე მისცა. ეს მთელმა ქვეყანამ გაიგო. გორბაჩოვი როდესაც პარიზში ჩავიდა, საპროტესტო აქცია მოუწყვეს პარიზელებმა, მერაბი კი მესამედ წარადგინეს ნობელის პრემიაზე. ბოლოს პატიმრობის ვადის გაგრძელება საქართველოში გადმოუტანეს. ერთი თვე მოჰყავდა ბადრაგს ციმბირიდან, გზაში კვლავ ეუბნებოდნენ ხელწერილზე, მაგრამ მერაბმა კვლავ ცივი უარი განუცხადა. აქ ქსნის კოლონიაში გაამწესეს.

***– ქალბატონო ოლიკო, თქვენ თუ დადიოდით სანახავად ციმბირში?***

- უიმე, საშინელება იყო, სულ დავდიოდი იმ გაყინულ გადასახლებაში. მერე იოლი ხომ არ იყო აქედან ციმბირში წასვლა.

***– როდესაც მერაბი გათავისუფლდა, როგორ შეხვდით მას, აქ, სახლში?***

- დაუვიწყარი დღე იყო. გათავისუფლებამდე ერთი დღით ადრე, ტელეფონზე მაცნობეს მისი გამოშვება. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. გავვარდი გარეთ, მთელ ხალხს ვაცნობებდი. მეორე დღეს ჩვენს ეზოში ხალხის ტევა არ იყო. ზუსტად დღის თორმეტ საათზე, ტაქსით შემოვიდა მერაბი. დაუვიწყარი ოვაციები იყო. მეზობლები აიტაცა ხელში მერაბმა და დაატრიალა სიხარულისაგან.

***– მერაბის მიერ პატიმარი ქალების გათავისუფლების მოთხოვნაზე რას გვეტყოდით?***

- ეს მთელი ისტორიაა. როცა იგი გამოუშვეს, თქვენი მობრძანება სატუსაღოში ბატონო მერაბ, სასწაულს ჰგავდა, შეუძლებელი იყო გვეგონა და თქვენ შესძელით იგი." საბოლოოდ ოთხმოცდახუთი პატიმარი ქალი გათავისუფლდა, მაგრამ სამწუხაროდ მერაბი ამას ვეღარ მოესწრო, ის რამდენიმე დღის დაკრძალული იყო. ყველა პატიმარი ქალი უკლებლივ ჩემთან მოვიდა და აქედან ყვავილებით წავიდნენ მერაბის საფლავზე.

***– ქალბატონო ოლიკო, გაიხსენეთ ის დღე, როდესაც დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს მოაწერეთ ხელი 1991 წლის 9 აპრილს.***

- მე, მერაბის მაგივრად მოვაწერე ხელი. საპატიო სტუმრად ვიყავი მიწვეული საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიაზე. იქ მოვაწერეთ ხელი მე და მანანამ. შემდეგ მიტინგზეც გამომიყვანეს, მთავრობის სახლის წინ, სადაც, თავად ზვიადმა გამოუცხადა ხალხს, რომ სიტყვით მივმართავდი შეკრებილთ და „ქართლის დედა" მიწოდა. ბედნიერი ვიყავი.



***– და ბოლოს, ქალბატონო ოლიკო, ამჟამად მრგვალი მაგიდა და ქალბატონი მანანა მნიშვნელოვან საპროტესტო აქციას მართავენ რუსთაველის გამზირზე, რას გვეტყოდით.***

- მართლები არიან და ღმერთმა სიმართლეს უნდა უშველოს. ჩემს მანანას კი გამარჯვებას, გამარჯვებას და კიდევ გამარჯვებას ვუსურვებ! მე დღე და ღამე ვლოცულობ მასზე.

***– დიდი მადლობელი ვარ ქალბატონო ოლიკო, რომ დამითმეთ დრო საუბრისათვის. მეც გისურვებთ ზვიადისა და მერაბის იდეების გამარჯვებას, დიდხანს სიცოცხლეს და ღმერთმა ქნას, ისევ აგეფრიალებინოთ შინდისფერი დროშა, როგორც თქვენ ერთ-ერთ მიტინგზე გააკეთეთ, როდესაც მუშტშემართულ ჩვენს მომიტინგეებს აცილებდით რუსთაველის გამზირზე.***

*ესაუბრა ირაკლი შონია.*

# მარადის საკუთარ თავზე მაღლა

2

მოვუწოდებთ სრულიად საქართველოს მოსახლეობას და პოლიტიკურ სპექტრს, რომ ჩვენ დღეს არ გვცალია არც მეგობრობის, სიყვარულისთვის და არც მტრების სიძულვილისთვის, ჩვენ მხოლოდ საქართველოს მეგობრები უნდა გვიყვარდეს, თუნდაც ასეთი მეგობარი ჩვენი პირადი მტერიც იყოს.

გრიგოლ ნოსელი ბრძანებს: „მარადის საკუთარ თავზე მაღლა". დიახ! მხლოდ ასეთი ამაღლებით შევძლებთ ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანას.

ეროვნული თანხმობა ნიშნავს საზოგადოების პოლიტიკური აზრის გამთლიანებას, რაც ქვეყნის ჩიხიდან გამოყვანის საფუძველია. ხოლო ძალადობა კი ყოველთვის ამცრობს თავისუფლებისა და სამართლიანობის იდეას. თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ბრძოლისას ძალადობა ყოველმხრივ აკნინებს მათ მშვენიერ არსს.

რომ მივაღწიოთ ეროვნულ თანხმობას, პოლიტიკური აზრის გამთლიანებას, თავისუფლებასა და სამართლიანობას, თავიდან რომ ავიცილოთ ძალადობა და შევძლოთ საკუთარ თავზე ამაღლება, ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, გავიცნობიეროთ ქართველი ერის წინამძღოლის, თავისუფლებისა და დემოკრატიის ერთ-ერთი უპირველესი მედროშის, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას შეგონება: „თუ უკანონო ხელისუფლება გამოიჩენს კეთილგონიერებას და გადადგება, მე მზად ვარ უზენაეს საბჭოსთან შეთანხმებით დავნიშნო ახალი არჩევნები, ყველას მიეცემა ხელშეუხებლობის გარანტია".

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე*

*ბადრი ფხალაძე*

# ხანა ტირანისა ანუ ათი წელი ჯოჯოხეთში



გერმანიის გამაერთიანებლები. სად არის შევარდნაძე?

წლევანდელი 7 მარტით საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ყველაზე შავბნელი, ჯოჯოხეთური 1992-2002 ათწლეული დასრულდა. შემზარავია და ძარღვებში სისხლის გამყინავი ამ შუალედში ქართველთა თავს დამტყდარი გაუთავებელი უბედურებების, ტრაგედიების, განადგურებული და დაქცეულ-გაპარტახებული, ქართველთა დიდი ნაწილისგან დაცლილი ქვეყნის წარმოდგენა. მოუშუშებელი ჭრილობაა, გაუყუჩებელი ტკივილია საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაკარგვას შეწირული რამოდენიმე ათეულ ათასობით ადამიანის გახსენება, მათ ტანჯულ-გაწამებულ სულებთან შეხება. ძნელია მათი ახლობლებისა და ჭირისუფლების დაუსრულებელი ურვა-წუხილის, უმძიმესი განცდების მთელი სისრულით შეგრძნება და ბოლომდე გაზიარება. ვერაფრით შესარიგებელია და მოსანელებელი იბერიის უძველესი კუთხე-მიწების - აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დამპყრობელი მტრისთვის ძღვნად მირთმევა, სადღეისოდ ამისთვის ჯავახეთისა და ქვემო ქართლის, კოდორისა და პანკისის ხეობების გამზადება. გაუსაძლისად მოუთმენელია იქაურობის პატრონი ქართველების აყრა და ქვეყნის ჯერ-ჯერობით ხელუხლებელ ქალაქებსა და სოფლებში დევნილებად თავის შეფარება. წარმოუდგენელია იბერთა სადღეისო ყოფის თუნდაც მცირედ, ოდნავ მაინც შემსუბუქება. როგორ გავუძლოთ, რითი გადავიტანოთ ქართველებმა ჯოჯოხეთად გადაქცეულ ათ წელიწადში თავს დამტყდარი უბედურებები: ხალხის ნებით არჩეული კანონიერი ხელისუფლებისა და პრეზიდენტის განდევნა; რუსული იმპერიის უმძიმესი უღლის ხელმეორედ დადგმა; დამპყრობლის სამხედრო ბაზებით საქართველოს მოფენა; შრომისუნარიანი მართალი მოსახლეობის ოთხმოცდაჩვიდმეტი პროცენტის უმუშევრობა; თვეობით უხელფასოდ "მომუშავე" დანარჩენი "მოსამსახურეები"; უამრავი მოშიმშილე, სნეული და მათხოვარი; საგანგაშოდ მომრავლებული ნარკომანი და ზნედაცემული ახალგაზრდობა; თავის გადასარჩენად უცხოეთში გადახვეწილ-გახიზნული, ყოვლად შეუფერებელი, დამამცირებელი სამუშაოებით დასაქმებული ქართველობა; ქვეყნის უკიდურესად დამბლადაცემული ეკონომიკა და მთლიანად მოშლილი მეურნეობა; უკლებლივ ყველაფრის გაუგონარი სიძვირე; ბიზნესად მონათლული, გულის ამრევი და არაფრის მომცემი წვრილმანი ვაჭრუკანობა; მოძალებული სიკვდილიანობა და თითქმის მთლიანად შემცირებული შობადობა; თვითმკვლელობით ამაქვეყნიდან გასული უამრავი ადამიანი...

ჯოჯოხეთად გადაქცეული ათი წლის განმავლობაში ძალზე ბევრი დაიწერა და ითქვა წითელთა რევანშიზმს მოყოლილ, ქართველთა თავს დამტყდარ ტრაგედიაზე. მის მთლიანად აღწერასა და გადმოცემას დიდი დრო, უამრავი ადამიანის ძალისხმევა დასჭირდება. მოღალატე, გამყიდველი ქართველებისგან ჩადენილს ვერ დაიტევენ ათასობით [illegible] ტომები. ეს აუცილებლად გაკეთდება. მართალი და პატიოსანი მემატიანეები ყველაფერს პირწმინდად, მისხალ-მისხალ აღნუსხულს აუწყებენ მომავალ თაობას, მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულის საქართველოს სისხლიან ქრონიკაში.

ამჯერად მკითხველებს საქართველოში ბოლო ათწლეულში შექმნილი მდგომარეობის მაუწყებელი სხვადასხვა შინაარსის საგაზეთო პუბლიკაციები გვინდა შევთავაზოთ და შეძლებისდაგვარად გავახსენოთ, თუ რა გადავიტანეთ, ვინ სად იდგა და რას იქმოდა, რა წილი ჩაიდო საქართველოს დაცემაში.

უპირველესად, უმრავლეს ქართველთაგან არჩეული საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონ ზვიად გამსახურდიას ერთ-ერთი საგაზეთო წერილის ცალკეული ადგილები გვინდა შემოგთავაზოთ. დასახელებული ღია წერილი 1992 წლის 19 აპრილს გაუგზავნა დევნილმა პრეზიდენტმა, საქართველოს დამაქცევარსა და მომსვრელ "მსოფლიო რანგის პოლიტიკოსს" და მასში თქმულითა და ცხრამეტი ბრალდებით, კიდევ ერთხელ ამხილა მსოფლიოს შავი ძალებისა და წითელი იმპერიის კანიბალთა დავალებების აღმსრულებელი.

მივყვეთ ბატონ ზვიად გამსახურდიას მხილებას: „თქვენ შექმენით მოსკოვში შტაბი, რომელშიც გააერთიანეთ საქართველოდან გაქცეული ყველა რენეგატი-პარტოკრატი და გააჩაღეთ უპრეცედენტო კამპანია მთელს მსოფლიოში საქართველოს ახალი ხელისუფლებისა და პირადად ჩემს წინააღმდეგ. თქვენს მიერ მოსყიდულ ყოფილ დისიდენტებთან და ეროვნული მოძრაობის მოღალატეებთან ერთად არწმუნებდით მსოფლიოს, რომ საქართველოში დამყარდა ტოტალიტარული რეჟიმი, ფაშისტური დიქტატურა, რომლის დამხობაც აუცილებელია.

თქვენ იყენებდით საბჭოთა იმპერიასა და დასავლეთს შორის დამყარებულ ალიანსს თქვენი საკუთარი ქვეყნის გასანადგურებლად. ამასთან ყველანაირად ინილბებოდით და მალავდით კავშირს. თქვენ თითიც არ გაანძრიეთ იმისათვის, რომ საფრთხე აშორებოდა საქართველოს.

მე მოვითხოვე თქვენგან, დაგვხმარებოდით საქართველოს გამოყოფაში სსრ კავშირიდან, თანაც შეგახსენეთ, რომ თქვენ თქვენი სამშობლოს მეტი არაფერი დაგრჩენოდათ და უნდა გეფიქრათ მის კეთილდღეობაზე . „დამანებეთ თავი, მე ერთი პენსიონერი კაცი ვარ და ნუ მთხოვთ იმაზე მეტს, რაც არ შემიძლია", - ასეთი იყო თქვენი პასუხი. მე გკითხეთ აგრეთვე, მიეცით თუ არა ხმა საქართველოს დამოუკიდებლობას 31 მარტის რეფერენდუმზე. რაზედაც დუმილით მიპასუხეთ. ახლა საყოველთაოდ ცნობილია, რომ თქვენ მხოლოდ 17 მარტის ე.წ. საკავშირო რეფერენდუმში მიიღეთ მონაწილეობა და ხმა მიეცით საბჭოთა კავშირის შენარჩუნებას, ხოლო 31 მარტს საქართველო და

5

## ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი
# მემორანდუმი

ქ. ქუთაისში 2002 წლის 11-12 მაისს გაიმართა ქართველოლოგთა IX სიმპოზიუმი („ქუთაისური საუბრები“), რომლის მუშაობაშიც მონაწილეობდნენ ენათმეცნიერები, ეთნოლოგები, არქეოლოგები, ისტორიკოსები და ფოლკლორისტები. სიმპოზიუმის მუშაობის თემა იყო: „დიალექტი, ენა, კულტურა: ენობრივი (კულტურული) სისტემისა და ქვესისტემის გამიჯვნის ზოგადთეორიული პრობლემა“.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილ მოხსენებებში მრავალ აქტუალურ საკითხთან ერთად გაანალიზდა თანამედროვე მსოფლიოს ეთნოლინგვისტური გამოცდილება; აღინიშნა, რომ საქართველოს, ქართველი ერისა და ქართველური ენობრივი სისტემის მიმართ, როგორც უცხოეთში, ისე ჩვენში, არცთუ იშვიათად შეინიშნება „ორმაგი სტანდარტით“ მიდგომა, რაც რეალურ საშიშროებას უქმნის ქართველთა ენობრივ-კულტურული ერთიანობას, საერთოდ, საქართველოს მთლიანობას. კერძოდ, ცნობილია, რომ მრავალსაუკუნოვანი ქართველური წერილობითი კულტურის, საერთოდ, ქართველური კულტურული მემკვიდრეობის შექმნაში ერთნაირი მონაწილეობა აქვს მიღებული ქართველთა ყველა ტერიტორიულ-ეთნოგრაფიულ ჯგუფს: ლაზებს, მეგრელებს, ქართლელებს, სვანებს, კახელებს, ინგილოებს (ჰერებს), თუშებს, ხევსურებს, ფშაველებს, მოხევეებს, რაჭველებს, იმერლებს, ლეჩხუმლებს, გურულებს, ისტორიული მესხეთის ქართველობას: აჭარლებს, ლივანელებს, ტაოელებს, კლარჯელებს, ჯავახებს, სამცხელებს... ამ ფონზე ქართველთა კუთხური ენობრივი ვარიანტების გამოცხადება „უმწერლობო ენებად“, პირველ რიგში, თვით ამ ქართველებს დაუკარგავს დიდ კულტურულ წარსულს, თუნდაც იმ თექვსმეტსაუკუნოვან წარსულს, რომელიც, იოანე ლაზისა და პეტრე იბერის მოღვაწეობით იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს. გარდა ამისა, ქართველთა კუთხური მეტყველებების ცალკე ენებად გამოცხადებით იქმნება სერიოზული საფუძველი ქართველთა ენობრივი და ეთნო-კულტურული ერთიანობის დაშლისა. აქვე აღვნიშნავთ, რომ მიუხედავად ისტორიული განვითარების გზების სხვადასხვაობისა, ზემოთ ჩამოთვლილი ქართველურ ეთნოგრაფიულ-ტერიტორიულ ჯგუფთა კილოები ფონოლოგიური სტრუქტურა, გრამატიკული მოდელი და ლექსიკური ფონდი ერთნაირია.

თანამედროვე ქართული სამწიგნობრო ენა თავისი აგებულებით საერთოქართველური ენის პირდაპირი მემკვიდრეა, ამდენად, იგი ყველა ქართველისთვის დედა ენას წარმოადგენს, შესაბამისად, ქართული სამწიგნობრო ენა ქართველთა თვითიდენტიფიკაციის უძველესი საფუძველია; ქართველური კილოების უმწერლობო ენებად გამოცხადება სწორედ ამ საფუძვლის შლის.

სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებებიდან ასევე წარმოჩნდა, რომ ბევრ გაუგებრობას უდევს სათავეს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული ტერმინოლოგიური სიჭრელე.

წარმოდგენილ მემორანდუმზე ხელმომწერ ქართველოლოგებს საჭიროდ მიგვაჩნია:

1. ჰუმანიტარულ დარგებში მოღვაწე ქართველ მეცნიერთა პოზიციების შეჯერება და საერთო თვალსაზრისის გამომუშავება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით;

2. წარმოდგენილი პრობლემატიკის შესახებ საერთაშორისო სიმპოზიუმებისა და სემინარების ორგანიზება;

3. საქართველოს ეთნოლინგვისტურ პრობლემატიკასთან დაკავშირებული უცხოური პუბლიკაციების მუდმივი მონიტორინგი;

4. სპეციალური ვებ-გვერდის შექმნა, მისი სისტემატური განახლება;

5. მრავალენოვანი სამეცნიერო ჟურნალის საინტერნეტო ვარიანტის მომზადება, სადაც ასახული იქნება ქართველოლოგთა სიმპოზიუმის მუშაობის შედეგები...

წარმოდგენილი ამოცანების შესასრულებლად აუცილებელია:

– გაფართოვდეს, სათანადო დაფინანსებითა და აპარატურით აღიჭურვოს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული დიალექტოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;

– შეიქმნას ცნობილ ქართველოლოგთა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც შეიმუშავებს სათანადო რეკომენდაციებს.

აქვე გთავაზობთ პროფესორ ნათელა ქუთელიას წერილს, რომელიც ქუთაისში ჩატარებულ ქართველოლოგთა სიმპოზიუმის ძირითად თემას ეძღვნება:

# ქართველთა სამწიგნობრო ენა და დიალექტები

ენის სტატუსს მისი სოციალური და პოლიტიკური ფუნქცია განსაზღვრავს. ქართველი ერის ისტორიის მთელ მანძილზე, ქართულ ენას ყოველთა ქართველთა სოციალური სანქცია ჰქონდა და ეს განსაზღვრავდა მას, როგორც კულტურულ ფენომენს ქართველი ერის და ქართული კულტურის ჩამოყალიბების პროცესში.

ენობრივი პოლიტიკა ქვეყნის მოწყობის ერთ-ერთი ბერკეტია, ამ საკითხისადმი ცალსახა დამოკიდებულება არ არსებობს. აქ ორი მიმართულებაა გასამიჯნი ერთმანეთისაგან. ერთია ენის მეცნიერული შესწავლა და მიღებული შედეგების პოსტულირება ლინგვისტურ ტერმინებში და სულ სხვაა ქვეყნის, როგორც დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის ენობრივი მოწყობა. სახელმწიფო ენის დოქტრინა ისეთივე მყარი უნდა იყოს, როგორც კონსტიტუცია, როგორც სამოქალაქო კოდექსი. ის ვერ შეიცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორ იცვლება მეცნიერთა შეხედულება ენაზე, როგორც შესასწავლ ობიექტზე, ვინაიდან ობიექტის პრობლემასთან შინაგან კავშირშია სპეციალური მეთოდების პრობლემა, სპეციალური მეთოდები კი დროთა ვითარებაში იცვლება (არნ. ჩიქობავა).

საქართველოს სხვადასხვა სამეფოებად, სამთავროებად დაიყოფოდა, მაგრამ ყოველთვის იყო ერთიანი, მთლიანი როგორც ნაციონალურ-კულტურული ერთეული. მისი გამაერთიანებელი იყო ეკლესია და საზოგადო, სალიტერატურო ენა, რომლის შექმნაში და განვითარებაში მონაწილეობა მიიღო ეთნოგრაფიულად ქართველებად ცნობილმა ყველა ტომმა. შეიქმნა სალიტერატურო ენა და კიდევ უფრო მჭიდროდ შეკავშირდა საქართველოს ტომები. განმტკიცდა და დამყარდა ნაციონალური კულტურა ერთი სალიტერატურო ენით და ეს სალიტერატურო ენა ცნობილია სახელწოდებით „ქართული ენა“. ეს სახელწოდება სწორია ისტორიულად, ვინაიდან ამ საქმის მოთავეობა ეკუთვნოდათ ეთნოგრაფიულად და დიალექტოლოგიურად ქართველებად ცნობილ ტომებს.



მერე ამ სალიტერატურო ენის განვითარებაში ქართლელ-ქართველების გარდა მიიღებენ მონაწილეობას სხვა ქართველთა ტომებიც: იმერლები, მეგრელები, სვანები, ლაზები და სხვანი და ამათ საზოგადო ქართულ ლიტერატურაში ერთობით შეაქვთ, რასაკვირველია, უფრო დიდი განძი, ვიდრე თვით ქართველებს. ამ ენაზე აღმოცენდა საქართველოში და მის გარეთ კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, სადაც იქმნებოდა ლიტერატურა სასულიერო და საერო. კულტურა ამ სიტყვის ყველაზე მაღალი გაგებით - „კულტურა, როგორც მხატვრულ-ესთეტიკური სისტემა“ (თ. ნუცუბიძე, ძვ. ქართ. ლიტ. როგორც სისტემა, ხელნაწერი). ამგვარად, მანამდე არსებული ტომობრივი ლიტერატურა გარდაიქმნა ნაციონალურად და სალიტერატურო ქართული ენა ზოგად-ქართველთა ენად (აკად. ნ. მარი) შესაბამისად, სალიტერატურო ქართულის მიმართ ქართლური ისეთივე ტერიტორიული დიალექტია, როგორც მეგრულ-ლაზური და სვანური, გურული და აჭარული, ქართლური და იმერული და იმერხეული, თუშური და მთიულურ-გუდამაყრული, კახური და ინგილოური, ლეჩხუმური და რაჭული, მოხეური და ხევსურული, მესხური და ჯავახური, ფშაური და ფერეიდნული. მიუხედავად ტომობრივი სიჭრელისა „საქართველო ეთნოგრაფიული ცნება არ არის, იგი ნაციონალურ-კულტურული და პოლიტიკური მნიშვნელობის შემცველია და მას აქვს ერთი საზოგადო ქართული ენა. ის არის ღვიძლი სამწერლო ენა ყველა ქართველთათვის სულ ერთია, რა კილოზე ან რა ენაზედაც უნდა საუბრობდეს იგი სახლში“ (აკად. ნ. მარი).

მთელი თავის ისტორიის მანძილზე საქართველოს ყველა კუთხის ისტორიული მოსახლეობა ამ ერთი მშობლიური სალიტერატურო ენით ეცნობოდა სასულიერო თუ საერო მწერლობას. უკიდურესი ფეოდალური დაქუცმაცებულობის ჟამსაც კი წირვა-ლოცვა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ქართული სალიტერატურო ენით ალესრულებოდა (იხ. XVII საუკ. მოღვაწის ანტონ ჭყონდიდელის ქადაგებების ენა). ასევე, ყოველი სამეფოს თუ სამთავროს ხელისუფალი ზოგადქართული სალიტერატურო საკანცელარიო ენით წარმართავდა საკუთარ სამფლობელოს (ტ. ფუტკარაძე). სალიტერატურო ქართულისა და მის ტერიტორიულ დიალექტებს შორის გაგებინების პრობლემა არასდროს მდგარა. ამას ადასტურებს ისტორიული ტრადიცია, რომელიც უხვად არის ასახული წარსულის მეცნიერთა და მოგზაურთა წიგნებში და რომ ეს კონგრეგაციისადმი კათოლიკე მისიონერ ბერთა მიერ გაგზავნილ მოხსენებით ბარათებში.

მეგრული (ოდიშური), ჭანური (ლაზური) და სვანური მეტყველება საუკუნეების მანძილზე ქართველთა დიალექტებად ითვლებოდა სხვა კილოების მსგავსად და რას მოემსახურება მისი სტატუსის შეცვლა?! მითუმეტეს, სვანურის, მეგრულისა და ლაზურისთვის ახალი დამწერლობების შექმნა გააუცხოებს ამ ქართველთ და ფაქტიურად დაუკარგავს ქართული მწიგნობრობის და ქართული იკონგრაფიის სახით არსებულ საკუთარ დიდ კულტურულ წარსულს, თუნდაც იმ თექვსმეტსაუკუნოვან წარსულს, რომელიც იოვანე ლაზისა და პეტრე იბერის მოღვაწეობით იწყებს თავისი განვითარების ახალ ეტაპს (ტ. ფუტკარაძე).

ენობრივი პოლიტიკა პროფესიული ლინგვისტიკის სფეროს სცილდება. ქართველ ტომთა სამეტყველო კოდებს კულტურულ ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ, ვინაიდან მათ სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ევოლუციის პროცესში შეძლეს ჩამოეყალიბებინათ ერთიანი ქართული ენა და ქართველური ცნობიერება, ყოველგვარი მცდელობა საზოგადო ქართულის ტომობრივ ენებად (სვანური, მეგრული, ლაზური...) დაყოფისა უშედეგოა.

პროფესორი ნათელა ქუთელია

# ხანა ტირანისა
## ანუ ათი წელი ჯოჯოხეთში

4

მისი დამოუკიდებლობა არც გაგახსენებიათ“ (გაზეთი „ქართული მახვილი“, 1998წ. 14-20 მარტი).

პენსიონერმა, მაშინდელი ხუნტის შემდეგ, სისხლიანი გადატრიალების მოწყობით მალევე ხელთ იგდო ძალაუფლება. მას შემდეგ ათი წელია, დაუნდობლად აჩანაგებს საქართველოს და ოთხმოც წელს მიღწეულს, დასნეულებულს, ტახტიდან ჩამობრძანების გაგონებაც არ უნდა.

საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ზვიად გამსახურდია: „თქვენი ყველაზე დიდი დანაშაული მაინც არის საქართველოში კრიმინალური რევოლუციის მომზადება და განხორციელება, რასაც პრეცედენტი არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში. თქვენ ერთ დროს დამნაშავეობასთან ვითომდაც უკომპრომისო მებრძოლი, დაუკავშირდით დამნაშავეთა სამყაროს და მისი მეშვეობით მოახდინეთ გადატრიალება. დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლები ჯაისელიანი თავისი „მხედრიონით“ და თ.კიტოვანი თავისი კრიმინალური „გვარდიით“, რომელმაც უღალატა კანონიერ ხელისუფლებას თქვენი დასაყრდენნი არიან დღესაც. თქვენს მიერ შექმნილმა კრიმინალურმა ხუნტამ საქართველოში „ზაკონის“ ქურდების დახმარებით დაატრიალა იგივე, რასაც სჩადიოდნენ მურვან-ყრუს, ჯალალ-ედ-დინის, თემურ-ლენგის, შაჰ-აბასის და აღა-მაჰმად-ხანის ურდოები. ხუნტაში დამნაშავეთა სამყაროსთან ერთად გაერთიანდნენ მაფიოზი პარტოკრატები და თქვენს მიერ პრივილეგირებული კომუნისტური ინტელიგენციის წარმომადგენლები, ის ინტელიგენტები, რომელთა მიერ იარაღის ხელში აღებას თქვენ მიესალმეთ თვითმფრინავის ტრაპიდანვე საქართველოში ჩამოსვლისას. აი ის სოციალური ფენები, რომელთაც თქვენ ეყრდნობით დღეს და რომელთა ხელითაც აპირებთ საქართველოს მომავლის აშენებას“ (გაზეთი „ქართული მახვილი“, 1998 წ. 14-20 მარტი).

მართალია, ტრაპზე მდგომი „შევის“ მიერ შექებულ ავტომატალებული „ინტელიგენტებივით“ იარაღის არ წამოავლო ხელი ქალბატონმა, რომლის ერთ-ერთი საგაზეთო საუბრის მცირე ნაწილი გვსურს შემოგთავაზოთ, მაგრამ თავისი ტელერადიო და საგაზეთო საუბრებით იმდენი „სიმართლე და ჭეშმარიტება“ იქადა, რომ უკლებლივ ყველას „პირში ენა ჩაუგდებინა“ და სათქმელი „არარაფერი“ დაუტოვა.

გელა ჯილაური

## დღეს

ნეტა იმ დროს ივერია როცა მართლა ჰყვაოდა
ცა მირონად მოსჭვიოდა სხალთიდან თუ ტაოდან.
თავწყვეტს, წელგამართულს ქართველს მხნედ უხაროდა
დედო-ზარის მოყურადე საქართველო ხარობდა.
ერთმორწმუნე ერის წინ რომ მტერი არარაობდა
და ხმალთა ჩვენთა მიღმა კისრისტეხით გარბოდა.
მაშინ ერი ერობდა და ბერიც ნაღდად ბერობდა.
ნიკოფსით დარუბანდამდე ჩვენი ჯიში მღეროდა
ნადიდგორად ჩვენს გმირ მამულს დავარდნა არ შვენოდა
ქრისტეს ჯვართან ურცხვი სჯული ხარბად ვერა მგელობდა.
კაცს კაცისა, ბერს-ბერისა უყოყმანოდ სჯეროდა
და უკუღმართ მერმისს არვინ ღვთის რისხვად არ ელოდა.
მერე ვერ ვიქართველეთ და მტერმაც არ დააყოვნა -
შემოგვეჭრა ათასგვარი სატანა თუ მამონა.
ახლა მიკვირს დღეს, დღეს მაინც ასე რამ დაგვამონა?
- ნუთუ ყველამ ყველაფერი ვეღარ აწონ-დაწონა,
არ აწუხებს ჩვენს ჯიშ-ჯილაგს უცხოს მადლის არქონა -
აბა, ასე რამ ჩაგვწიხლა, ურცხვად რადამ ჩაგვქოლა?!
...დროა ისევ მტერთა ჩვენთა გული არ გავახაროთ
და მაცხოვრის ჭეშმარიტი რწმენის მზე ავაყვავოთ.
უცხო ჯანღი და ბურუსი ხმალს მიღმა გავყაროთ
ივერიის გაბრწყინების რწმენის დროშა ავხაროთ.
ჩვენი დედა-საქართველო დედისერად გავახაროთ
და ღვთისმშობლის წილხვედრ მიწას ბორკილები ავყაროთ.
დღეს გვჭირდება ერთიერთის რწმენით მოსუგეშება
ივერიის გაბრწყინების მადლი ცადან ეშვება.

ვახტანგ აბულაძე

## ნადენჯიხის მთებს

*თავს აფარებდა სადაც ზვიად*
*გამსახურდია,*
*პრეზიდენტი საქართველოსი*

ეს რა იხილეთ, სამშობლოს მთებო,
ეს რას მოგასწროთ მაღალმა ღმერთმა.
თუმცა თოვაში არ ჩანდა კარგად,
რაც იქ ხდებოდა, თქვენ ნახეთ ერთად.

თავიდან არც კი იცოდით ალბათ,
რომ ტრიალებდა რა ცოდვა-მადლი,
გეგონათ, მთებში, ჩვეულებრივად,
მონადირენი დასდევდნენ ნადირს.

ისმოდა ტყეში წკავწკავი ძაღლთა,
და იყო პოვნა-დაკარგვა კვალის.
ვით არ გაგისკდათ გულები მთებო,
ვით გიდგათ სული, მოწმენო ამის.

გაოგნებული გაჰყურებთ არეს,
სამშობლოს მთებო, მომსწრენო ყოვლის,
არც ნადირობა ასეთი გახსოვთ,
და არც ასეთი პირველი თოვლი.

ნოდარ ბართაია

# პოლიცია კვლავ ფიზიკური ძალით გაუსწორდა მომიტინგეებს

საქართველოში და განსაკუთრებით თბილისში პოლიტიკური მდგომარეობა დღითიდღე იცვლება. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა



მრგვალი მაგიდის მიერ ე.წ. სახელმწიფო კანცელარიასთან დაწყებული რამდენიმე კვირიანი აქცია რუსთაველის გამზირზე გადმოვიდა. ე.წ. საარჩევნო კომისიის ანუ „იმელის" შენობის მიმდებარე ტერიტორია პოლიტიკური მოვლენების არენად გადაიქცა. შევარდნაძის ხუნტა კვლავ ცდილობს თავისი პოლიტიკური მმართველობა გაიხანგრძლივოს ცრუ ადგილობრივი არჩევნებით, თუმცა, კარგად რომ ვერ აქვს საქმე, ამას საქართველოს ყველა მოქალაქე ხედავს. მრგვალი მაგიდის მიერ დაწყებულ საპროტესტო აქციას საინფორმაციო საშუალებები ეხმაურებიან, მათშორის ტენდენციურმა პრესამაც ვერ აუარა გვერდი და განაცხადა, რომ ეს საპროტესტო მიტინგები ერთობ მნიშვნელოვანი ფაქტია და ამან შეიძლება გარკვეული პოლიტიკური მოვლენები შეცვალოს.

ერთიანი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ფონზე სავალალოდ გამოიყურება მოქალაქეთა კავშირის დახლეჩილ-დაქუცმაცებული დანაშაულებრივი შენაერთები. მაფიოზურ კლანებს შორის მიმდინარეობს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, თუნდაც ერთი პატარა სავარძლისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ შევარდნაძემ აშკარა სიძულვილი ვერ დაფარა მშვიდობიანი აქციებისა და მიტინგების მიმართ და მასმედიის მისამართით გააკეთა განცხადება, რომ აღარ იქნას დაშვებული და აიკრძალოს პრესაში თუ ტელევიზიაში მისთვის არასასურველი ინფორმაციები და პოლიტიკური გადაცემები. ეს ერთისმხრივ მიუთითებს, რომ მისი ძირმომპალი სავარძელი უფრო და უფრო სუსტდება, და მეორეს მხრივ, კვლავ ნაცადი ხერხებით ცდილობს შეინარჩუნოს დეფორმირებული, გვარიანად შერყეული უფლებები.

* * *

პოლიციური რეჟიმი რომ მძვინვარებს საქართველოში და დემოკრატიული პრინციპების ბუტაფორიაა მხოლოდ, ამაზე მიუთითებს თუნდაც ა.წ. 14 მაისს მშვიდობიანი მიტინგის დარბევა პოლიციელთა მიერ. თურმე მრგვალ მაგიდის და კანონიერი ხელისუფლების მომხრეებს უფლება არ აქვთ გამოხატონ პროტესტი და რუსთაველის გამზირზე შეუზღუდავად გამოხატონ პოზიცია, ხოლო როცა მოუნდება ე.წ. თვითმარქვია ნაციონალურ მოძრაობას და მის თავკაცს მიხეილ სააკაშვილს, გზა გადაკეტოს და ტრანსპორტის პარალიზება მოახდინოს დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩაში, ამაში მას ხელს უწყობენ უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები, საგზაო პოლიციის შენაერთები.

როდესაც კანონიერი ხელისუფლების მომხრეებმა გადაკეტეს რუსთაველის გამზირი, მაშინვე გამოძახებულ იქნა სპეცრაზმი, ავადსახსენებელი თემურ მღებრიშვილის ტერორისტული ჯგუფი და ე.წ. სამართალდამცავები, მთაწმინდის რაიონის პოლიცია. ისინი კვლავ ფიზიკური ძალით გაუსწორდნენ მშვიდობიან მომიტინგეებს, აბრძანდით ტროტუარზეო მოუწოდებდნენ, თუმცა, ისე შეიჭრნენ ადამიანთა ცემის სტიქიაში, ველარ დაამუხრუჭეს და ტელეგრაფის კიბეებზე ამოიჭრნენ, მაგრამ მიტინგი ვერ დაშალეს, იგი რამდენიმე დღეა გრძელდება და გაგრძელდება მანამ, სანამ არ იქნება დაკმაყოფილებული კანონიერი ხელისუფლების მოთხოვნა. საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ქალბატონმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა: „ჩვენი მოთხოვნა შემდეგია, გადადგეს ცენტრალური საარჩევნო კომისია, რათა შემდეგ გადავიდეთ საქართველოში კანონიერების აღდგენისათვის ბრძოლის მომდევნო ეტაპზე. საქართველოში უკანონო არჩევნებს წერტილი უნდა დაესვას. საქართველოს ჰყავს კანონიერი ხელისუფლება, მან უნდა დანიშნოს კანონიერი არჩევნები. ხელისუფლება აუცილებლად უნდა იყოს ლეგიტიმური. მე მგონი, თქვენ ყველა ამის მომხრე ხართ".

სწორედ, ამის გამო დაიწყო პოლიციამ დარბევა რუსთაველზე გზის სავალ ნაწილზე. დარბევის



მოენტში ქალბატონმა მანანამ სიტყვით მიმართა პოლიციის თანამშრომლებს. ეს გამოსვლა ძალიან მნიშვნელოვანია ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორიაში: „თუ სააკაშვილმა თავისი პირადი ამბიციებისათვის გადაკეტა რუსთაველის გამზირი, მე საქართველოს გადარჩენისთვის გზა არ უნდა გადავკეტო? ნუთუ ჩვენ არა გვაქვს იმისი უფლება, რომ კანონიერად მოვითხოვოთ ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადადგომა. თქვენ ხელები გაქვთ დასვრილი ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლების სისხლით, თქვენ მრავალი შეიწირეთ ჩვენი მოძრაობიდან 1991-1992 წლებიდან დაწყებული, დღევანდელი დღის ჩათვლით. გაფრთხილებთ კიდევ ერთხელ, უკანასკნელად, თქვენს მიერ დალუპულთა და დასახიჩრებულთა სიები, ჩატარებული ექსპერტიზების დასკვნები ჩვენ მრავლად გვაქვს არქივში. ასე რომ თავს ნუ გასწირავთ შევარდნაძის რეჟიმისთვის. შევარდნაძე მიმავალია, სულ ცოტა ხანში თქვენ ამის მომსწრენი გახდებით, თქვენ კი უსამსახუროდ წაყვებით მას, სადაც წავა. ცოცხალი იქნება, ცოცხალს გაჰყვებით, მიცვალებული იქნება, მიცვალებულს გაჰყვებით?

ძირს ხუნტა! ძირს შევარდნაძის უკანონო რეჟიმი! ძირს ტერორისტული პოლიცია!"

ქალბატონ მანანას, ეს გაფრთხილება პოლიციამ უნდა გაიზიაროს და კანონიერ ხელისუფლებას დაუჭიროს მხარი, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკანონო ხელისუფლებასთან ერთად აგებენ პასუხს მართლმსაჯულების წინაშე.

*ირაკლი შონია*

## ვებული ბერიძის გახსენება

უშენოდ მეორე გაზაფხული დადგა ვებული, შენი მეორე დაბადების დღე. ახლა ხომ 60 წლის შესრულდებოდი. რა ტკივილია ეს ყველაფერი, ჩვენთვის, შენი მეგობრებისთვის...



იმ ავბედით დღეებში დაუთალავად, უშიშრად ედექი გვერდით კანონიერ პრეზიდენტსა და მთავრობას. გინდოდა შენი წვლილი შეგეტანა სამართლიანობისთვის ბრძოლაში... იმედი გქონდა, ელოდი დიდ გამარჯვებას, მაგრამ...

ვებული, შენმა კეთილმა გულმა ვერ გაუძლო სიცრუისა და ბოროტების პარპაშს, უდროოდ დასნეულდი. ავადმყოფობის მიუხედავად, მაინც ჩამოხვედი თბილისში, სოლიდარობა გამოუცხადე მოშიმშილეთა აქციას, ესტუმრე კოლხურ კოშკს,მოინახულე სასიქადულო საფლავები... ცრემლიანი ეფერებოდი გადამწვარი კოშკის იარებს, მტკივნეულ გულზე ხელდადებული დადიოდი ეზოში, იმედით ივსებოდი იქ მობინადრე მოშიმშილეთა ხილვით. გჯეროდა, მათი თავგანწირვა შედეგს გამოიღებდა. რწმენით დატოვე კოლხური კოშკი...

შემდეგ ისევ მოძალებულ სენთან ბრძოლა... ეკონომიკური სიდუხჭირის გამო ოპერაცია ველარ გაიკეთე... შეუძლებელია, არ გავიხსენოთ ექიმ მერაბ გამყრელიძის გულისხმიერება. მან გაითავისა შენი უმწეო მდგომარეობა და დიდი დახმარება გაგიწია. მადლობის მეტი რა გვეთქმის.

დაუვიწყარი იყო იმ წელს შენი დაბადების დღე - 11 მაისი. მოსალოცად მოვედი და აქეთ დამასაჩუქრე, ეროვნული მოძრაობის ამსახველი სურათები და პლაკატები გადმომეცი, ჩემს სახელზე ჰქონდესო ქუთაისის ჰელსინკის კავშირს. რა ტკივილიანი იყო ის დღე ჩემთვის. შემდეგ 2000 წლის 27 მაისი, ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა და სამუდამო განშორება.

იძინე ჩვენო დამაშვრალო მეგობარო, გჯეროდეს, საქართველო გაიმარჯვებს, რადგან „ღმერთი არს თესლთა შორის მართალთა". უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი...

*საქართველოს ჰელსინკის კავშირის ქუთაისის ორგანიზაციის სახელით*
*დოდო იობიძე-ლორთქიფანიძე*

## იმიერში გადასული ნაპერწკალი

დემურ შარაშენიძე - სიყვარულით მოსული, სიყვარულით მცხოვრები და სიყვარულითვე წასული ამქვეყნიდან. მშობლიური მიწის სურნელი შეიგრძნობა მის მიერვე დატოვებული დღიურებიდან. საკვირველია, შეეძლო კი ერთ კაცს ამხელა სიყვარულის დატევა, ანდა ტკივლის სიმძიმე დაკავშირებული საქართველოს ბედთან როგორ აძლევდა საშუალებას, ფურცლებზე გადმოეღვარა იგი. სიყვარულით გაჟღენთილი სიტყვები ცრემლებად დაედინებიან ფურცლებზე და ხელში გვრჩება მადლითა და სითბოთი სავსე კაცის ცხოვრება.

ყოველი ფრაზა, ყოველი აზრი საქართველოსთან იყო დაკავშირებული „ქართველი არსებობს და კვდება საქართველოსათვის, საქართველო მისთვის", - წერდა სიხარულით და იქვე მინაწერი ფრაზა კვნესად მოისმის „ამათ ნამდვილად სურთ ქართული ჯიშის გაქრობა." ბავშვური გულწრფელობით ჩაწერილი შეძახილი „შენ გენაცვალე, ქართველი ხალხო" - კიდევ ერთხელ აგვავსებს სინანულით და მოგვანატრებს იმიერში გადასულს.

თუმც უმჯობესია, მივყვეთ მისი გულისნადებით მოფენილ უსიერ ტყეს სიტყვებისას, სადაც ცხოვრების ნახევარგზაზე შემოაღამდა დემურ შარაშენიძეს, სიმართლისათვის მებრძოლ ქართველს, ყელის სიმების საბოლოო დაწყვეტამდე რომ გვედრებოდა - გაუფრთხილდით საქართველოს:

„მტკიცედ მწამს, ქართველი ერი კვლავ განაგრძობს სიყვარულისა და უფლის გზით სიარულს, ვინაიდან თავისუფლების სულით ანთებულ ჩვენს მოდგმას მხოლოდ სიყვარული გადაარჩენს და ალგეთში კვლავ დაიზრდებიან ლეკვები, რომლებიც საქართველოს ლალაფს არავის შეარჩენენ".

„ქართული ენის საწყისი ზეცაა, უფალია მისი მშობელი და მფარველი, მასშია მთელი საქართველო გაზაფხულზე აყვავებული პირველი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლადამოსული მზის ცხოველმყოფელი სხივივით საამო. სიტყვა მისი - ვით დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტიცხოველი და ნაზი - ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდებული დილის ნამი".

დემურ შარაშენიძის დღიურებიდან ჩვენი წარსული იხედება, კითხულობ მათ და თვალწინ გიდგას 1989-90-91 წლები, ეროვნული სულის მომეტებული სუნთქვა შეიგრძნობა მისი ნაწერებიდან:

„დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენება ვინც დაიწყო, მანვე უნდა დაამთავროს, სხვა კი ისე დაანგრევს, ველარასოდეს ავაშენებთ. საქართველოს საბოლოო განთავისუფლება ჩემთვის მხოლოდ ზვიად გამსახურდიას უკავ-



შირდება. იგი ერთ-ერთი კი არა, ერთადერთი კანდიდატია პრეზიდენტობისა, მჯერა, რომ გაიმარჯვებს. დღევანდელ უზენაეს საბჭოს მხარს არ უჭერენ ისინი, რომელნიც კომუნისტებთან შეხმატკბილებულნი თანამშრომლობდნენ.

ცენტრს ზვიადის მიმართ აქვს ლამის შიშნარევი, ფრთხილი და ანგარიშგასაწევი დამოკიდებულება. მასში დიდ დიპლომატიურ ნიჭს ხედავენ იმპერიის მესვეურნი, ამიტომაც არ გადმოდიან გადამწყვეტ შეტევაზე. ზვიადი 35 წელი ემზადებოდა იმისათვის, რომ ეპოვნა მშობელი ერის ხსნის გზა, ამ გზაზე მან უზარმაზარი ცოდნა და გამოცდილება შეიძინა. სწორედ ეს შველის, არ დაუშვას შეცდომა, ან მინიმუმამდე დაიყვანოს იგი. მის მოწინააღმდეგეთა უმრავლესობის ნააზრევში აშკარად ჩანს დიპლომატიის, პოლიტიკური ცოდნის სიმცირე. ჩვენი შვილები რომ რუსის ჯარში აღარ მიდიან, განა ეს ცოტაა?! თავს მოხვეული დღესასწაულები რომ გააუქმა და ახლა ქრისტიანულ დღესასწაულებს ვუქმობთ, ქსეც არაფერია?! საოცრად ემთხვევა „ოპოზიციის" და კრემლის აზრი ერთმანეთს. ღირსეული კაცი დამარცხებასაც ღირსეულად გადაიტანს, საკუთარ მარცხს მთელ ერსა და ქვეყანას არ გადააყოლებს".

შემდეგ კი საშინელი 1992 წლისა და შემდგომი პერიოდის ქრონიკა იწყება:

„მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, სისხლით მოსული ხუნტა. გაუგონარ ტერორს ახორციელებს, შესაბამისად საშინელებები იბეჭდება პრესაში, ტელევიზიაში, მეტროში, ეზოებსა და ქუჩებში: კაცი ტყეში დაბეს და პატრონს ფული გამოძალეს. ღამით იქვე დაბმული დატოვეს. ახლობლებმა მეორე დღეს მკვდარი, გულგახეთქილი ნახეს;

თბილისის ერთ-ერთ მახლობელ სოფელში, დილით ვირის თავი და ფეხები ნახეს, ვიღაცას დაუკლავს და წაუღია... ალბათ, სასინკლეში, სამწვადეში, ანდა, სულაც, ბაზარში.

.. ამ დროს კი გზის პირას გამოფენილია და ზღაპრულ ფასად იყიდება ბავარიული ლუდი, ჩინური შოკოლადი, ბულგარული კონიაკი და სხვა. ეს განუკითხაობა დაუკავშირეს ეროვნულ მოძრაობას, უკვე გაისმა შეშინებული, დაუცველი მოქალაქეების ხმა: არ მინდა ასეთი თავისუფლება, მისთვის ბრძოლა. წინათ მინიმალური ხელფასი მაინც იყო, რაც გვქონდა - გვქონდა, ახლა იმის გარანტია მაინც უნდა გვქონდეს, რომ ხვალ არ გაგვძარცვავენ, არ მოგვკლავენ და მკვლელები თავისუფლად არ ისეირნებენ ცენტრალურ პროსპექტებსა და მოედნებზე.

.. ამ ქაოსის ფონზე კი იწყება არჩევნები.

ცხოვრებამ გვიჩვენა, რა ძნელად განსაკურნებელი სენი შეჰყარა ჩვენს ქვეყანას და ხალხს უზნეობის დაკანონებამ: გაყიდული მიწები, გაყიდული თანამდებობები, გაყიდული რწმენა, გაყიდული საქართველო და რაც ყველაზე საშინელია - მარიონეტული ფსიქოლოგია ხალხისა".

## ლიტერატურა

ცნობილი კინორეჟისორი ალექსანდრე ჟღენტი ჩვიდმეტი წლის განმავლობაში მხატვრული ფილმისთვის სწერდა სცენარს 'სახლი სიხარულისა". ავტორს განზრახული ჰქონდა მისი წიგნად გამოცემაც, მაგრამ საქართველოში განხორციელებული სამხედრო გადატრიალების შემდეგ, უკანონო რეჟიმმა კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენელს აუკრძალა ფილმის გადაღება და წიგნის გამოცემაც.

გთავაზობთ ნაწყვეტს არშექმნილი ფილმის სცენარიდან.

* * *

სავსეა ხალხით გარინდული ქუჩა. მიპყრობილია ყველას მზერა თუჯის აივნისაკენ, ზედ გადაკიდებული ნოხით.

გადაფარეს აივნიდან ოთახში შემონათებული მზის სხივები შემოსულებმა.

გავიდა ერი აივანზე. მაღალი, შუახნის, თეთრწვერა, აღელვებული კაცი – ნოე ჟორდანია.

იგრიალა ტაშმა.

ჩასჭიდა მოაჯირს ხელები თეთრწვერამ, მსგავსად გემის ხიდურზე გრიგალის მომლოდინე კაპიტნისა.

ჩამწკრივდნენ აივანზე ეროვნული ყრილობის დეპუტატები.

ჩამოვარდა სიჩუმე.

- მოქალაქენო! მრავალი საუკუნის განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო...

- ვა, პა გრუზინსკი? – გაიკვირვა ცრუევროპული პეწის შავტუხა სუბიექტმა:

მყის ყურებამდე ჩამოამხეს „კატელოკი" მეზობლებმა.

- ... რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეიქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმა დასტოვა ამიერკავკასია...

გარინდული უსმენს ყველა.

- ... დარჩნენ რა თავისი ძალლონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა...

ყურთან ხელი მიიდო ქაშუეთის ზართან გარინდულმა მნათემ.

- ... ქართველი ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას.

- Надеюсь, русская социал-демократия поймет нас правильно... – გადაულაპარაკა ვიღაც ფოტოაპარატმომარჯვებულს სათვალიანმა დეპუტატმა, პირსახოცით გაოფლილი კისერი შემოიმშრალა, მიმოიხედა და დაუმატა ფრანგულად: - J'esphere que la democratie sociale mondiale nous comprendra bien (იმედი მაქვს, მსოფლიო სოციალ-დემოკრატია სწორად გაგვიგებს /ფრ./).

- ... ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებიანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა!

იქუხა ოვაციამ პროსპექტზე.



გაშალა ქარმა მთავრობის სასახლის თავზე აღმართული წითელი დროშა, თეთრი...წარწერით: „Да здравствует Российское учредительное собрание!"

- რაო, რაო?!

დაიგრგვინა ხალხმა.

ატყდა ჩოჩქოლი.

შეცბნენ აივანზე შეკრებილნი. უმეტესობა, ყოველ შემთხვევაში.

გარს შემოერტყა ყმაწვილთა გუნდი შუახნის შესახედ კაცს.

- რა ვქნათ, პეტრე ბატონო?

- ჩემზე უკეთ თქვენ იცით.

- აბა, გავქანდი, ბიჭებო! – ყველას დაასწრო თეთრპერანგიანმა ყმაწვილმა.

გახედა ყველამ სასახლის სახურავს.

გრუხუნებს თუნუქი თეთრპერანგიანების ფეხქვეშ.

აი, „უჩრედიტელნი სობრანიეს" დროშაც.

მოქაჩა ტილო ყმაწვილმა, მერე ქვევით ჩამოიხედა.

გაიტრუნენ შაშხანიანი მცველები - დაიბნენ.

გადახედეს ერთმანეთს აივანზე მდგომებმა.

- მიჭედებულია! – ჩამოსძახა შეკრებილთ ყმაწვილმა.

- ჩამოხიე! – იგრიალა მრავალათასიანმა ძახილმა.

- მაგას გაწყენინებთ...

გადაუფრინა ქალაქს დროშის გაფხრეწის ხმამ.

დროშას ფლაგშტოკიც მიაყოლა თეთრპერანგამ.

- ტროცკის არ ეწყინოს, ბიჭო!

- ნაციონალისტები ხართ, მეტი არაფერი! - წამოიკივლა გაურკვეველაქცენტიანმა ფალცეტმა.

ისევ აგრუხუნდა სასახლის სახურავი.

მიიჭრა თეთრპერანგიანთან მეორე თეთრპერანგიანი სამფერით ხელში.

მოჰყვა მეორეს ქარი. ლამის წააქცია დროშამომარჯვებული. მიეშველა მას პირველი ყმაწვილი.

ჩაეჭიდა თეთრპერანგიანთა ოთხი ხელი მოფრიალე სამფერის ბუნიკს.

სძლიეს ქარს ყმაწვილებმა. გაიმართნენ წელში და აღმართეს მძიმე დროშა.

იხუვლა ხალხმა.

შემოჰკრა ზარს მამადავითის სამრეკლოზე გაწკეპილულვაშიანმა კაცმა.

აფრინდა მაისის ცაში ზარზე შემოსკუპებული თეთრი მტრედი.

პირჯვარი გადაისახა ქაშუეთთან გარინდულმა მნათემ, გამოქაჩა ძარღვიანი ხელებით თოკები.

აგუგუნდნენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ტფილისის ზარები.

- ერთი წამია ეს საქართველოს მარადისობაში, - გადახედა მეზობლებს ჟორდანიას გვერდით მდგომმა წვეროსანმა დარბაისელმა. შემდეგ დაუმატა, - მაგრამ, რა წამი!

- რათომ ჩახია ჯეელმა? ორივე ლოფილიყო... ჯერ ზოციალიზმი, მერე ტავისუფლება... ორი დროშა ქარქია...

- სამი კიდევ უკეთესი, ხომ?! – სიტყვა გააწყვეტინა კომენტატორს გახელებულმა სტუდენტმა.

- ეთო მარქს სქაზალ, იუზგარ...

არც ახლა აცალეს სიტყვის დამთავრება ცხვირგაბუშტულ ტიპს, გადმოაყუდეს აფიშების ბოძკინტიდან.

- შენ, ჩემო ძმაო, მარქსის სწავლას, ქართული გესწავლა! –მიაძახა ვიღაცამ.

- ვერავის ხელეწიფების ორთა უფალთა მონებად, ღთვისაი და მამონაისი – ჩაილაპარაკა ჭაღარა მღვდელმა.

აივანზეც შემოიტანეს ყმაწვილებმა ვეება სამფერი, გაბედულად ჩაუარეს წინ შეკრებილთ, გადააფარეს ბუხარულ ჭრელ და მძიმე ნოხს.

გაიბრწყინა რაღაცამ თვალისმომჭრელად პირველი გიმნაზიის მეორე სართულის ფანჯარაში.

გადაურბინა შუშაში არეკლილმა მზის სხივმა აივანზე შეკრებილთ...

მოგუგუნე ზღვა ხალხს...

შინდისფერ დროშას...

დაამაგრეს ფანჯრის რაფაზე სამფერი ბაფთებით მკერდმორთულმა გიმნაზისტებმა ილიას ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი.

- დღეს ილიას დღეა, ბატონებო! –გადასძახა შეკრებილთ, თითქოს საჩხუბრად მომზადებულმა კუშტსახიანმა მასწავლებელმა.

ერთხმად იქუხა ვაშამ.

სატელეგრაფო ბოძის გლუვ ზედაპირს მკლავები შემოაჭდო თმაგაჩეჩილმა ახალგაზრდამ და გასძახა გამზირს:

„სანეტარო დახსნის ხმები,
ეფინება ზურმუხტ მდელოს,
გაუმარჯოს ბორკილაყრილ,
თავისუფალ საქართველოს!"

დასჭექა გუნდმა „სამშობლო".

იგრიალა ბათქმა არსენალზე.

გადაუარა გრგვინვამ.
მახათას...
თაბორს...
მტკვარს...

და რუსთაველზე აღმართულ იმ გლუვ, ნაცრისფერ ბოძს, საიდანაც კითხულობდა ლექსს თმაგაჩეჩილი პოეტი და რომელზედაც მრავალი წლის შემდეგ, კუპრივით შავ ღამეს, დაამაგრეს მუქხალათიანებმა, ყუთში ჩამალული ტელეთვალი.

ბრიალებდნენ თაღები აბიო მეფის სასახლის დიდ დარბაზში.

ნაკაწრიც არ ემჩნევა ახალთახალ დეკორაციებს.

ჰკიდია დარბაზის კედელზე დიდი და მძიმე ნოხი.

გრიალებს ორკესტრი.

პრემიერაა ოპერაში. თავად ავტორი ზაქარია ფალიაშვილია პულტთან.

„აბესალომსა და ეთერს ოთხკუთხივ ჯვარი სწერია!"

ლამის აჰყვეს მომღერლებს დარბაზი.

ანშლაგია. ვინც ვერ დაჯდა, დგას.

დგანან პარტერის გვერდით გასასვლელებში, ლოჟებში, ამფითეატრის შემოსასვლელ კარებში.

ავარდა ზეცაში ვეება კოცონის ალი ნარიყალაზე.

მყისვე აგიზგიზეს ცეცხლი არსენალის გორაზეც.

განათდა ქალაქი.

ათამაშდა ათინათი სახურავები კრამიტსა და ფანჯრების მინებზე

ნთქავს ალი საგულდაგულოდ დაწყობილ შტაბელს და მხიარულად ტკაცუნობს კარგად გამომშრალი საღლესაწაულო ლამპრის შეშა.

## ღმერთმა აცხონოს ეროვნული ღირსების დაცვისთვის ბრძოლებში დაღუპული გმირები

### გიორგი ქათამაძე



1972-1993

გიორგი (გია) ქათამაძე დაიბადა 1972 წლის 26 დეკემბერს, ზესტაფონის რაიონში, სოფ. ქვედა საქარაში. დაამთავრა ამავე სოფლის საშუალო სკოლის არასრული კურსი და სწავლა გააგრძელა ზესტაფონის №99 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში ავტოკომბაინის მძღოლის სპეციალობით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 1991 წლის აგვისტოში, გაიწვიეს ეროვნულ გვარდიაში. მუშაობდა ეროვნული გვარდიის მთავარ სამმართველოში. მონაწილეობდა 1991-1992 წლების დეკემბერ-იანვრის ბრძოლებში. ცნობილი მოვლენების შემდეგ, როცა გია დასავლეთისაკენ მიდიოდა, ავტობუსს თავს დაესხა ბოროტმოქმედთა ბანდა.

გია ქათამაძე მძიმედ დაიჭრა, ხერხემალი დაუზიანდა, რამაც გამოიწვია ქვედა კიდურების დამბლა. დიდხანს ამაოდ იმკურნალა. ბოლოს მშობლიურ სოფელში ჩამოიყვანეს, რის შემდეგაც დიდხანს აღარ უცოცხლია. გარდაიცვალა 1993 წლის 8 აპრილს.

გია ქათამაძე ამქვეყნიდან ისე წავიდა, რომ საკუთარი ოჯახის შექმნა ვერ მოასწრო.

### მამუკა არაბიძე



დაიბადა ქალაქ ზესტაფონში 1966 წელს. 1983 წელს დაამთავრა [illegible] №1 საშუალო სკოლა, მოიხადა სამხედრო-სავალდებულო სამსახური. 1992 წლის გაზაფხულზე სამშობლოს სიყვარულმა მას გვარდიისაკენ უბიძგა. იგი ერთგული იყო აწ განსვენებული პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასი. მისთვის საბედისწერო გამოდგა 1992-93 წლები. იგი გმირულად დაიღუპა ერთ-ერთი შეტაკების დროს.

**რედაქცია მკითხველს სთხოვს, გამოგვიგზავნოს ბიოგრაფიული ცნობები განვლილ 10 წელიწადში საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დაცვისა და აღდგენისათვის დაღუპულ გმირთა შესახებ.**

## უკანონო არჩევნები არ უნდა ჩატარდეს!

ისტორიულად ცნობილია, რომ საქართველოს დამპყრობნი, ქართველთა დასამონებლად მოხმობილი მრავალი ხერხიდან, უპირატესობას მომეტებულად დიდგვაროვანთა მოსყიდვასა და მიმხრობას ანიჭებდნენ, რადგან მოსახლეობაზე საგრძნობი გავლენით ადვილად შეიძლებოდა დაუმორჩილებელ იბერთა დაჩოქება და გადაგვარება, განადგურება. უნდა ითქვას, რომ მართალია დროებით, მაგრამ ამას ხშირად ახერხებდნენ. თუმცაღა საბოლოოდ, მზაკვრულ ჩანაფიქრსა და სურვილს მაინც ვერ ისრულებდნენ. განსაკუთრებით წითელთა გამეფების პერიოდში იმძლავრა ე.წ. ზედა ფენის მოსყიდვითა და მოქრთამვით, უფრო სწორედ გახრწნა-გადაგვარებით, მათი ნააზრევ-ნაფიქრალის მეტნაკლებად გამზიარებელ და დამჯერებელ მოსახლეობაზე დამთრგუნველი ზეგავლენის, დამორჩილების მზაკვრული, შენიღბული ხერხებით ბრძოლამ. და ისინიც, ჯილდო-წოდებებსა და თანამდებობებს დახარბებული „ხალხის რჩეულნიც" სამარცხვინოდ, სახელისა და ღირსების შელახვით, დაუზარებლად აღასრულებდნენ მბრძანებელთაგან დაკისრებულ ამაზრზენ მისსიას. ასე წარმოიშვა ადამიანად წოდებული ახალი სახეობა-უსამშობლო, ურონენბო, ორპირი, გამყიდველი, „განსწავლული" არსება - ე.წ. „ინტელიგენტი"-საბჭოთა ადამიანი, პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესების სანაცვლოდ, უყოყმანოდ რომ აღასრულებდა ყველაფერს დასაგმობსა და არაადამიანურს, მზად იყო ყველაფრის უარსაყოფად, გასაყიდად.

ამ მხრივ განსაკუთრებით შემაძრწუნებელია საქართველოს ცეკას პირველ მდივნად ე. შევარდნაძის დანიშვნის 1972 წელი. სწორედ იქიდან დაიწყო ეროვნული სულისკვეთების მქონე ინტელიგენციისა და ახალგაზრდობის მიზანდასახული ჩაგვრა და შევიწროება, მოსპობა-განადგურება. ასე აღზევდა ინტერნაციონალური სულით გაჯერებული ლაქია, ლაჩარი, უიდეო, უნიჭო და კარიერისტ არსებათა მცირე ნაწილი და მას ქვეყნის მართვა-გამგებლობა დაევალა. ქართველთათვის შავბნელმა და უმძიმესმა ამ პერიოდმა სამოცდაათი წელი გასტანა.

მეოცე საუკუნის ოთხმოციანი წლების შუა პერიოდიდან დაწყებულმა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის არნახულად გამოცოცხლებამ, მისი თავკაცების ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას თავგანწირვამ, სასურველი შედეგი მოიტანა - 1990 წლის 28 ოქტომბრის დემოკრატიული არჩევნების ჩატარებით, საქართველოში კომუნისტური რეჟიმი დაემხო. ხელისუფლებაში ეროვნული ძალები, ქვეყნის დამოუკიდებლობის, მისი განვითარების მოსურვილე რჩეული ადამიანები მოვიდნენ.

ჩვენდა სავალალოდ, ხანმოკლე გამოდგა იგი ხანა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა. რუსეთის იმპერიულმა, მსოფლიოს ბნელმა, შავ სამყაროსთან დაკავშირებულმა ძალებმა ე. შევარდნაძის უშუალო ხელმძღვანელობით, სულგაყიდული ქართველი „ინტელიგენტების", კრიმინალ-მაფიოზურ-ბანდიტური დაჯგუფებებისა და რუსული ჯარის მეშვეობით, 1991-92 წლების დეკემბერ-იანვარში განხორციელებული სამხედრო გადატრიალებით დაამხეს ეროვნული, კანონიერი ხელისუფლება და ქვეყნიდან განდევნეს პრეზიდენტი, უზენაესი საბჭო.

8

## «ქუჯის» ფოსტა



# 1918 წლის 26 მაისი - საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადება
# 1939 წლის 26 მაისი - ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღე
# 1991 წლის 26 მაისი - საქართველოს პრეზიდენტად ზვიად გამსახურდიას არჩევის დღე

## უკანონო არჩევნები არ უნდა ჩატარდეს!

7 საქართველოში სახელწაცვალი კომუნისტური რეჟიმი ალსდგა და ქვეყნის თავკაცის სავარძელი ისევ შევარდნაძეს უბოძეს. იქიდან მოყოლებული, უკანონო რეჟიმმა ცრუ „ინტელიგენციის", ქვეყნის მცირერიცხოვანი და ერის გამყიდველების მხარდაჭერით 1992-2000 წლებში ჩაატარა „საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები". უკანონო საარჩევნო კომისიამ, დილებულად გაართვა თავი დაკისრებულ ბრძანება-დავალებებს და ყველანაირი წეს-კანონის დარღვევით, „არჩევნები" წარმატებით ჩატარებულად გამოაცხადა.

დასანანია, რომ დასახელებულ უკანონო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ზოგიერთმა ბედოულათმა და უნებისყოფო, გაბრიყვებულმა რიგითმა ადამიანმა, რომლებსაც თურმე კიდევ სჯეროდათ და იმედი ჰქონდათ ქვეყნის დამაქცევარი შევარდნაძის „დიდი პოლიტიკოსობისა". თურმე იგი იხსნიდა საქართველოს, გამოიყვანდა კრიზისიდან, დაგვიბრუნებდა მისგანვე გაყიდულ-გაჩუქებულ აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, გააერთიანებდა გახლეჩილ ერს, აღადგენდა და განავითარებდა მრეწველობას, ადამიანებს დაასაქმებდა მილიონი სამუშაო ადგილით. თუმცა, ყველაფერი კომუნისტებისათვის ჩვეული ფუილი გამოდგა. შევარდნაძემ და მისმა მხარდამჭერმა კრიმინალ-„ინტელიგენტებმა", მაფიოზურ-კლანურმა დაჯგუფებებმა, კიდევ ერთხელ გააცურეს გულუბრყვილო, მორჩილი და ბეღმავი ადამიანები.

დღეს ყველასთვის ყველაფერი ნათელია, ყველაფერი ხელისგულზე დევს. დღეს, როდესაც ქვეყნის დამაქცევარი ერთი მუჭა უკანონო ხელისუფლების წარმომადგენლები ე. შევარდნაძის წინამძღოლობით თავგამოდებით იბრძვიან არჩევნების ჩასატარებლად, ანუ გაყალბების გზით კვლავაც ხელისუფლების გახანგრძლივებას ესწრაფვიან, შეცდომის დაშვების უფლება აღარავისა აქვს. მათთვის არჩევნების ჩატარების დანებება გამოუსწორებელი შეცდომა და უდიდესი დანაშაულია. ამას შთამომავლობა არ გვაპატიებს. არჩევნებში მონაწილე თითოეული ადამიანი ხელს შეუწყობს საქართველოს კიდევ უფრო მეტად დაშლა-დანაწევრებას, ეთნოკონფლიქტების ახალი კერების წარმოქმნას, რასაც რუსეთის იმპერიული და მსოფლიოს კაცთმოძულე ბნელი ძალების საბოლოო მიზნის გაცხადება - საქართველოს უქართველებოდ დარჩენა მოჰყვება.

ამიტომაც, უნდა დავდგეთ ერთად, მხარი მივცეთ პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა მრგვალ მაგიდას და საერთო ძალისხმევით უკანონოებს სამუალება არ მივცეთ არადემოკრატიული, არალეგიტიმური, არასაყოველთაო არჩევნების ჩატარებისა.

*ინდიკო ფხაკაძე*
*წყალტუბო*

## ნოდარ ლომოურმა გარდაცვლილი მამა სახლიდან გამოაძევა

2002 წლის 29-5 მარტი-აპრილის გაზეთში „მეოთხე" წავიკითხე ანა ჯულელის ინტერვიუ ნოდარ ლომოურთან: „ნოდარ ლომოურის სენსაციური ცნობები გამსახურდიების შესახებ". სენსაციური იქ არაფერი იყო ჩემთვის მხოლოდ ერთი ადგილისა, სადაც იგი ბატონ ზვიად გამსახურდიაზე ასე წერს: „მე გამსახურდიას ვიცნობდი ძალიან პატარაობიდან და ყოველთვის მეჯავრებოდა".

„მე გავიზარდე ძალიან კარგ ოჯახში" - ასე იწყებს თხრობას თავის თავზე ლომოური. ამ ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა ერთი მოგონება, თუ როგორ უყვარებია მას თავისი მამა.

1967 წლის 1 იანვარი დგებოდა. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტებიც ემზადებოდნენ ზამთრის სესიებისთვის. აგრონომიული ფაკულტეტის სტუდენტებს ჩათვლა გვქონდა გენეტიკაში. 31 დეკემბერია და შეიქმნა ტრაგიკომიკური სიტუაცია. ლექტორი ფხაკაძე არ აძლევს ჩათვლას ნაწილს სტუდენტებისას, განსაკუთრებით, ბიჭებს. სტუდენტები მიდიან და ეკითხებიან, როდის მივიდნენ ჩათვლაზე. ის კი, ჩია ტანის გასაცოდავებული, გამხდარი მოხუცი გამოვარდება დერეფანში, ლანძღვა-გინებით და ლამის ფიზიკურად შეეხოს სტუდენტებს, რომლებიც ჩათვლის გარეშე ვერ გადიან გამოცდებზე.

ამ დროს სტუდენტებს გამოსავალს სთავაზობს ფაკულტეტის პარტორგანიზაციის მდივანი: გარდაიცვალა პროფესორი იულონ ლომოური (ახლა გავიგე, ყოფილა ნოდარ ლომოურის მამა). როგორც აღმოჩნდა, ოჯახს არ უნდოდა ახალ წელს მიცვალებული სახლში ჰყოლოდა, ამიტომ გადმოასვენებდნენ ინსტიტუტის (ახლანდელი მე-9 საავადმყოფო) სააქტო დარბაზში და იქიდან გაასვენებენ. თუ სტუდენტები ახალი წლის ღამეს დარჩებიან მიცვალებულთან, მათ მისცემენ ჩათვლას გენეტიკაში. უმწეო სტუდენტები თანახმა გახდნენ და უყარაულეს მათთვის უცნობ პიროვნებას (ჯერ ლომოურის კათედრასთან შეხება არ გვქონდა). ახალი წლის ღამეს ძირითადად რაიონებიდან ჩამოსულმა ახალგაზრდებმა გაათიეს ღამე. დრო რომ გასულიყო, კარტს თამაშობდნენ და მიცვალებულსაც ურიგებდნენ.

ჩათვლა კი მიიღეს, მაგრამ ჩვენს გონებაში დარჩა, როგორი მოსიყვარულე ოჯახი ჰქონიათ ლომოურებს.

*ი. კოჭლამაზაშვილი*

## წესრიგის დაცვა სამართალდამრღვევთა" ხელით

რუსთაველის გამზირზე კვლავ გრძელდება აქცია ცენტრალური საარჩევნო კომისიის გადადგომის მოთხოვნით.

კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებმა და მათმა მრავალრიცხოვანმა მომხრეებმა გზა გადაკეტეს, რასაც, როგორც მოსალოდნელი იყო დეფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლების ჩვეული აგრესია მოჰყვა. გზის გადაკეტვას ისინი კანონის დარღვევად მიიჩნევდნენ და რატომღაც ავიწყდებოდათ გასული წლები, როცა გზის გადაკეტვა „ჩვეული მოვლენა" იყო მათთვის. ჟურნალისტებთან მიცემულ ინტერვიუში თბილისის პროკურორმა თენგიზ მახარაძემ შემდეგი განაცხადა: „გზის გადაკეტვა კანონის დარღვევაა. უკანონობა უნდა აღკვეთოს პოლიციამ. წარსულს რომ მახსენებთ, მაშინ მოსახლეობა კეტავდა გზას და, რა თქმა უნდა, არც დავარბევდით, ახლა კი ესენი კეტავენ". („ესენში" ვის გულისხმობდა, ბოლომდე გაურკვეველი დარჩა).

არ გასულა ცოტა ხანი და ხალხში მოარული ხმა-„სპეცრაზმია გამოძახებული", გამართლდა. მომიტინგეებში შემოიჭრა პოლიციელთა მანქანები და დაიწყო „წესრიგის დაცვა".

ხალხის მასა ორ ნაწილად გაიყო, აქა-იქ პოლიციელთა ზრდილობიანი შეძახილებიც ისმოდა, ზოგიერთმა კი ცდუნებას ვერ გაუძლო და... თუმცა ჩვეული ოსტატობა მათ სრულად არ გამოუმჟღავნებიათ იმ დღეს, რის გამოც ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა საკუთარ უფროსებზე გაბრაზებით ჩაილაპარაკა: „ჯერ დავალებას მოგვცემენ და მერე თავად იმალებიან".

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მანანა არჩვაძე-გამსახურდიამ აღშფოთება გამოთქვა არსებულ სიტუაციასთან დაკავშირებით და პოლიციელებს ასეთი სიტყვებით მიმართა: „როცა დასჭირდა დე-ფაქტო ხელისუფლებას საიკაშვილის იმიჯის ამაღლება, ერთი კვირის განმავლობაში რუსთაველის პროსპექტი გადააკეტინეს დაქირავებულ მოქალაქეებს, შემდეგ კი თავიანთი საქმეც დაამთავრეს – მინისტრები გადააყენეს. თუნდაც ზოდელავას მიერ ჩატარებული აქცია გავიხსენოთ. მოსახლეობას უშუქობა რომ „გადაეტანა", ქუჩები გადაკეტეს განგებ და მთელი იმ ხნის განმავლობაში იქაურობა ნაგვითა და სიბინძურით იყო სავსე. თუ მაშინ შეიძლებოდა ასეთი აქციის მოწყობა, რატომ არ უნდა გვქონდეს დღეს ამის საშუალება, ჩვენ ხომ კანონიერად მოვითხოვთ კანონიერების აღდგენას?! ნუ დაიდებთ სხვის ცოდვას - გირჩევთ როგორც ქართველი ქართველს. შევარდნაძის დრო წავიდა".

ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი კერვალიშვილმა მომხდარზე პასუხისმგებლობა შევარდნაძის რეჟიმს დააკისრა, ხოლო დეპუტატმა გურამ მაქაცარიამ დე-ფაქტო ხელისუფლების წარმომადგენლებს მრგვალი მაგიდის მიერ შემუშავებული მემორანდუმი მოაგონა, რომელსაც „ვაიკაცების" სულის ხსნის მაშველი რგოლი უწოდა.

გასაკვირია, მაგრამ პოლიციას მომიტინგეთა ჯავრი ამჯერად ჟურნალისტებზე არ უყრია.

*ლელა ხაჭაპურიძე*

## ხელმოცარული წყალბურთელი

ე.წ. სამართალდამცავების (ზოგი მას სამართალდამრღვევსაც ეძახის, რასაც ვეთანხმები) რიგებში მრავალი დამნაშავე აფარებს თავს. მათ რიცხვს მიეკუთვნება ხელმოცარული წყალბურთელი, რომელმაც თავის სპეციალობად გაიხადა ჯალათური საქმიანობა. კერძოდ მას შემდეგ, რაც ხუნტა მოვიდა შეიარაღებული გზით ხელისუფლების სათავეში, ბოლ ათწლეულის განმავლობაში „წყალბურთელი" მიშა გიორგაძე არაადამიანური მეთოდებით უსწორდება მშვიდობიან მომიტინგეებს. ამჟამადაც, 2002 წლის 14 მაისს ვერ დაიოკა ვნებები და ფიზიკურად შეეხო მშვიდობიან მომიტინგეებს, მათ რიცხვს რა თქმა უნდა, მანდილოსნებიც მიეკუთვნებოდნენ.



ბატონო მიშა! თქვენ 1998 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, რუსთაველის ძეგლთან კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა მიერ მოწყობილი მიტინგი დაარბიეთ. ამას იმიტომ გახსენებთ, რომ არსებობს ფოტო, სადაც თქვენ ფეხებით დახიეთ საქართველოს სახელმწიფო სიმბოლიკა — ეროვნული დროშა, რის გამოც თქვენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა გეკისრებათ. თქვენი დანაშაულებრივი საქმეები დაფარული ვერ იქნება, რადგან უამრავი მოწმეა თქვენი „საგმირო" ქმედებებისა. თქვენ თავიდანვე იყავით ხელმოცარული სპორტში, წარუმატებელი იყო თქვენი მოღვაწეობა, ამიტომ მოერგეთ ტერორისტულ პოლიციას.

მე სულაც არ მინდა განსასჯელის სკამზე აღმოჩნდეთ, ამიტომაც დავწერე ეს პატარა „მონოლოგი" თქვენთვის. იმედი მაქვს არ დაიბოლმებით და არც ნერვებს მოიშლით. ცივი გონებით შეაფასეთ განვლილი ბოლო ათი წლის თქვენი „შედევრები".

*თქვენი „კეთილისმყოფელი"*
*მომიტინგე ი. შ.*

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი ტარიელ ფუტკარაძე
პასუხისმგებელი რედაქტორი გელა ჯილდაური
რედაქტორი ლელა ხაჭაპურიძე
გაზეთი რეგისტრირებულია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში №12/3/გ-4118
რედაქციის მისამართი: თბილისი, [illegible] ტელ: 60-86-00.
ქუთაისი, ჭავჭავაძის 32. ტელ.: (8 231) 2-46-03; (8 77) 47-09-05
ელ-ფოსტა: kuji@posta.ge გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში http://www.opentext.ge/kuji